მესამე წელიწადი — ფასი 10 კ. — პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ახალი გზა

ყოველკვირეული პოლიტიკური, ეკონომიური და ლიტერატურული ჟურნალი.

კვირა, 29 მაისი 1927 წ.

რედაქცია და კანტორა
რუსთაველის პროსპექტი, № 22, ოთახი 20. ტელ. № 23—87
ღიაა ყოველ დღე, გარდა კვირა-უქმისა, დილის 9—1 საათამდე.

№ 19

## ჟურნალის შინაარსი

მომხდარ ფაქტის წინაშე—**ს. ელიაძე**; ორიენტაციის საკითხები—**ყარიბი**; ჟენევის ეკონომიური კონფ. მთავარი შიზნები—**ა. ხელაძე**; ომი თუ მშვიდობიანობა?—**ა. ჩაჩუა**; საერთაშორისო მდგომარეობა—**მიმომხილველი**; რეაქციის მორიგი შემოტევა—**ნ. გიორგაძე**; კაპიტალისტური ქვეყნების დავალიანება—**იპ. ნარსია**; მიყვარს ქალაქი—ლექსი—**ლ. დარჩია**; უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების გარშემო—**შ. გაგუა**; სოფლად—**განმანი**; პროვინცია.

# მომხდარ ფაქტის წინაშე

ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მიერ ანტისაბჭოთა კამპანია დაგვირგვინდა პოლიტიკურ და სავაჭრო ურთიერთობის გაწყვეტით ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის. დეპეშების გადმოცემით თემთა პალატამ დაადასტურა მთავრობის გადაწყვეტილება ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ 357 ხმით, 111-ის წინააღმდეგ.

ურთიერთობის შეწყვეტა მოხდა სწორედ იმ დროს, როდესაც ჟენევაში დაასრულა თავისი მუშაობა საერთაშორისო ეკონომიურმა კონფერენციამ. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ კაპიტალისტური მთავრობების სიტყვა და საქმე დიდათ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ისინი, როდესაც სიტყვით მშვიდობიანობაზე და შეთანხმებაზე გაჰკივიან, საქმით ყოველთვის ეწინააღმდეგებიან მას. ასევე მოხდა ამ შემთხვევაშიაც.

კონსერვატიული მთავრობის სიტყვით ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზია საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოებული პროპაგანდა-აგიტაცია კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგ. აი ამ ყალბი საბუთით კონსერვატორებმა გადადგეს ეს სახიფათო ნაბიჯი, რომელიც უსათუოდ ემუქრება საერთაშორისო მშვიდობიანობას. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროპაგანდის წარმოების მომიზეზება აქ უბრალო საბაბია და ჩვენ საქმე გვაქვს უფრო ღრმა მიზეზებთან.

თვით ის ფაქტი, რომ არსებობს საბჭოთა სოციალისტური კავშირი საკმარისი საბუთია იმისათვის, რომ კაპიტალისტურ სისტემას ადრე თუ გვიან უსათუოდ სიკვდილი მოელის. რაც შეეხება კერძოდ ინგლისის კაპიტალის მდგომარეობას, რომლის არსებობა მთლიანად დამოკიდებულია კოლონიალურ ერთა დამონება-შევიწროებაზე, საბჭოთა კავშირის არსებობა კიდევ უფრო ადრე უქადის მას დაღუპვას.

რომ დაჩაგრული ერები დღეს საბჭოთა კავშირში ხედავენ თავიანთ განთავისუფლების საწინდარს, ეს არავისთვის საეჭვო აღარ არის. ასეთ პირობებში კონსერვატორების მთავრობას სხვა რაღა დარჩენია, თუ არა ყოველმხრივ ხელის შეშლა საბჭოთა კავშირში სოციალისტური აღმშენებლობის წარმოებისათვის!

თემთა პალატაში ურთიერთობის შეწყვეტის გამო გამართული კამათის დროს მუშათა პარტიის ერთ-ერთი დეპუტატის შეკითხვაზე, თუ როგორ ფიქრობს ინგლისის მთავრობა საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ოპერაციების წარმოებას ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ—კონსერვატორების სკამებიდან მოისმა ხმები: „ამერიკული სისტემითო". ასევე აცხადებს ინგლისის კონსერვატორების ყურმოჭრილი მონა კანადის მთავრობის თავმჯდომარე **კინგი**: „საბჭოთა კავშირთან ოფიციალური ურთიერთობის ჩაშლა არ ნიშნავს ამ კავშირისა და კანადის შორის ვაჭრობის შეწყვეტასო".

როგორც სჩანს ამ ვაჟბატონებს კიდევ იმედი აქვთ, რომ მათი ჯიბე ურთიერთობის შეწყვეტით არაფერს დაკარგავს, ვაჭრობა თავის მხრივ მაინც იწარმოებს, ხოლო კონსერვატორები თავის ქვეყანაში უზრუნველყოფილი იქნებიან ყოველგვარ პროპაგანდა-აგიტაციისაგან.

ტყვილად ჰგონიათ ინგლისის კონსერვატორებს, რომ ურთიერთობის გაწყვეტით ისინი არაფერს იზარალებენ. რაც შეეხება პროპაგანდას, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ის ამის შემდეგ კიდევ უფრო გაცხოველდება, მაგრამ არა საბჭოთა მთავრობის მიერ, არამედ იმ საკუთარი ქვეყნის მუშათა კლასის მიერ, რომელშიაც დღეს ინგლისის კონსერვატორები ბატონობენ.

წარმოუდგენელია, რომ სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტამ საბჭოთა კავშირთან არ შეამციროს ინგლისის ექსპორტი და ამით კიდევ უფრო არ გაძლიერდეს უმუშევრობა, რაც ბოლოს და ბოლოს კონსერვატორების წინააღმდეგ ბრძოლისათვის საუკეთესო საბაბი გახდება.

მაშასადამე, ურთიერთობის შეწყვეტას უნდა მოჰყვეს შემდეგი ნაბიჯების გადადგმაც ინგლისის მთავრობის მიერ. რამდენადაც წარსული ფაქტები გვიჩვენებენ კონსერვატორები დიდი ხანია აწარმოებენ მუშაობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შესაქმნელად.

ამას წინად გავრცელდა ხმები ახალი ანტანტის შექმნის შესახებ. ამასთანავე ინგლისის მთავრობა დიდი ხანია ცდილობს ფაშისტური იტალიის მთავრობის თავის

გავლენის ქვეშ მოქცევას. ჩერჩილის მოგზაურობა იტალიაში სწორედ ამასთან იყო დაკავშირებული. სწარმოებს მუშაობა საფრანგეთის მთავრობაზე გავლენის მოსახდენადაც. მაგრამ ყველაზედ უფრო დამახასიათებელია ინგლისის მთავრობის ცდა პოლონეთისა და ბალტიის წვრილი სახელმწიფოების მორიგების შესახებ.

თუ რამდენად მიაღწევენ კონსერვატორები ამ მიზანს, ეს მომავლის საქმეა, მაგრამ დღემდის არსებული მდგომარეობიდან ირკვევა, რომ მთლიანი ფრონტის შექმნას დიდი დაბრკოლებები ელობება წინ და მეტი საბაბი გვაქვს ვიფიქროთ, რომ კონსერვატიული მთავრობა ამ საკითხში გარიყული დარჩება.

თუმცა ევროპის ბურჟუაზიული პრესის ერთი ნაწილი იწონებს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას და მოუწოდებენ თავიანთ მთავრობებს მიბაძონ ინგლისის მაგალითს, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ კაპიტალისტური მთავრობები ასე ადვილად მოახერხებენ იმ წინააღმდეგობათა ქსელის დარღვევას, რომელშიაც მოქცეულია ამ ქვეყნების ურთიერთობა.

საინტერესოა ავსტრიის მენშევიკების გაზეთის „არბეიტერ ცაიტუნგის" აზრი ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ, რომელიც სწერს: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ინგლისისადმი ყოველ მეგობრულად განწყობილი ქვეყნის საელჩოში გაცილებით მეტი რაოდენობით არის ისეთი მასალა, რომელიც ნახული იქნა არკოსის გაჩხრეკის დროს. ინგლისის პროლეტარიატი კატეგორიულად დაგმობს ინგლისის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც საერთაშორისო მდგომარეობის გართულების გარდა, გამოიწვევს უმიშროების ზრდას და სამუშაო ხელფასის შემცირებას. ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ინგლისს მიბაძოს ეხლა რომელიმე სახელმწიფომ. უფრო მოსალოდნელია, ინგლისის მიერ დაკარგულ ბაზრებს სხვა ქვეყნები დაეუფლებიან. მაგრამ ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტა ხელს შეუწყობს ანტი-რუსული ბლოკის შექმნას. ყველა ქვეყნების პროლეტარიატმა აუღელვებლად უნდა უყუროს შექმნილ მდგომარეობას. მისი ამოცანაა დაიცვას რევოლიუციონური რუსეთი კონტრ-რევოლიუციონური პოლიტიკისაგან, ინტერვენციისაგან, როგორი ფორმითაც არ უნდა მოხდეს ეს. პროლეტარიატმა უნდა გამოაშკარავოს კაპიტალისტური მთავრობების ვერაგობა, რომელნიც ერთის მხრით, ერთა ლიგის მფარველობის ქვეშ იწვევენ კონფერენციას, რომელმაც უნდა მოსპოს საერთაშორისო პოლიტიკური კრიზისის მიზეზები, ხოლო მეორეს მხრით, საერთაშორისო ურთიერთობიდან სდევნიან ევროპის უდიდეს სახელმწიფოს".

ჩვენ განგებ მოვიყვანეთ ეს გრძელი ამონაწერი დასახელებულ გაზეთიდან, რომელიც ძლიერ ლამაზი სიტყვებით სწერს, მაგრამ ვნახოთ, საჭიროების დროს ეს მოწოდება ჰპოვებს კი რეალურ განხორციელებას, თუ ლამაზ სიტყვებათ დარჩება?

რა თქმა უნდა, ინგლისის მუშათა კლასი დაირაზმება კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ მუშათა პარტიის ნაფიცი ლიდერები, რომ დიდათ არ შეუწყობენ ამ ბრძოლას ხელს, ეს სჩანს თუნდაც იმ რეზოლიუციიდან, რომელიც მათ წარადგინეს თემთა პალატაში ურთიერთობის შეწყვეტის გამო.

ისინი ამ რეზოლიუციაში მოსთქვამენ იმის გამო, რომ ინგლისში გაძლიერდება უმუშევრობა და ამიტომ საჭიროა შესდგეს საგამომძიებლო კომისია მთავრობის პარტიისა და ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან, რომელიც დაწვრილებით გამოარკვევს იმ საბუთების სინამდვილეს, რომელიც კონსერვატორების მთავრობას მოეპოვება.

რეზოლიუციაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმის შესახებ, რომ ინგლისის მუშათა პარტია გადაჭრით შეებრძოლება კონსერვატიული მთავრობის ცდას უმიზნო სისხლის ღვრაში ჩააბას ინგლის-საბჭოთა მშრომელი ხალხი.

არაფერი ისმის აგრეთვე ჯერ-ჯერობით არც საერთაშორისო მენშევიზმის შტაბიდან, რომელსაც მეორე ინტერნაციონალი ეწოდება.

ასეთ პირობებში, საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე სდგას ამოცანა, რათა ეს უკანასკნელი დაირაზმოს კომინტერნის დროშის ქვეშ და არ მისცეს საშუალება იმპერიალისტურ მტაცებლებს საბჭოთა სოციალისტური კავშირის წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად, და ჩვენ გვწამს, რომ მუშათა კლასი ამას შესძლებს.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხს, მას არავითარი საბაბი არა აქვს მიეცეს სასოწარკვეთილებას. საბჭოთა კავშირი დღეს ის აღარ არის, როგორიც იყო 7-8 წლის წინედ. ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო როგორც სამეურნეო აღორძინება, ისე თავდაცვის უნარის გაძლიერება. საჭირო შემთხვევაში ამას ის სათანადოთ გამოიყენებს.

ამიტომ ერთის წუთითაც არ უნდა შენელდეს ის გიგანტიური აღმშენებლობითი მუშაობა, რომელიც დღემდის სწარმოებდა მშრომელთა სახელმწიფოში. ეკონომიური სიძლიერე,—აი ის საწინდარი, რომლითაც ადვილად შევსძლებთ ყოველგვარ საფრთხის თავიდან აცილებას.

იმპერიალისტური მახინაციები დაიმსხვრევიან მშრომელი ხალხის ფოლადისებურ სიმტკიცეზე.

**ხ. ელიაძე.**

# ორიენტაციის საკითხები

X.

სამართლიანობა მოითხოვს ვსთქვათ, რომ ნ. რამიშვილი მარტო არ არის კომუნისტებისა და საერთოდ რუსებისა და რუსეთის სიძულვილში. ის მარტო როდია პროლეტარიატის მოსისხლე მტრების ბანაკში, ის მარტო როდი მოითხოვს საქართველოს რესპუბლიკის რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბუფერად გადაქცევას...

ამ საქმეში მას მხარს უმშვენებს თითქმის ყველა ჩვენი კარგად ნაცნობი ყოფილი ადამიანები, ყოფილი სოციალისტები და რევოლიუციონერები და, მათ შორის, ცნობილი „პოზიორი" და „მეცესტე" ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი.

მისი ამხანაგები ყოველთვის იმ აზრის იყვენ, რომ მოქალაქე გეგეჭკორი სრულიად შემთხვევით, როგორც პირადათ მისთვის, ისე ყველა მისი ნაცნობებისათვის, მოულოდნელად ამოტივტივდა პარტიის ზედა პირზე. ყველა მისმა ამხანაგებმა ძალიან კარგად იციან, რომ მისი თეორეტიული ავლა-დიდება, როგორც მარქსიზმის ცოდნაში, ისე სოციალიზმისა და მუშათა ინტერესების შეგნებასა და განსაკუთრებით განცდაში, არა თუ კურდღელს, ბელურასაც ადვილად აეკიდება ისე, რომ მას არც ფრენას დაუშლის და არც საკენკის ძებნას. ყველა ჩვენგანმა იცოდა, რომ მოქ. გეგეჭკორი იოლად გადიოდა ფონს მხოლოდ მეტის-მეტი გამბედაობით, რომ მეცნიერული ერუდიციის მაგიერობას მას „პოზა", თეთრი საყელო და ფრაკი უწევდენ.

ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ იმას მაინც ვერ ვიფიქრებდით, რომ რევოლიუციონური ბრძოლის დაფასების საქმეში ის ისეთ სიბრიყვეს გამოიჩენდა, როგორიც მან „ბრძოლის" 21 ნომერში დაგვანახა.

შეიძლება ადამიანს მარქსიზმის სულაც არაფერი გაეგებოდეს, შეიძლება ის მტერიც იყოს რევოლიუციისა და რევოლიუციონური მოძრაობისა, მაგრამ ჩინეთის რევოლიუციის მიზეზებში გარკვევა, მისი სწორი დაფასება დღეს ყველას მოეთხოვება.

შეიძლება ადამიანი არ იყოს გამობრძმედილი პროლეტარიატის ბრძოლის ისტორიაში, შეიძლება არც თანა-

უგრძნობდეს მას, მაგრამ ინგლისის მაღაროს მუშების უმაგალითო ბრძოლის მნიშვნელობის ცოდნა მაინც მოეთხოვება.

დღეს ვინ არ იცის ჩინეთის ნახევარი მილიარდი ხალხის ტრაგედია? ვინ არ იცის, რომ ეს ძველის-ძველი მაღალი კულტურის მატარებელი ხალხი დიდი ხანია, რაც იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა დაიმონეს, რომ მათ დიდი ხანია, რაც მიისაკუთრეს ამ ხალხის სიმდიდრე და მონობის უღელი დაადგეს მას. იმპერიალისტურმა მტაცებლებმა წაართვეს მას არსებობის ყოველგვარი სახსარი, საფრთხეში ჩააგდეს მისი ფიზიკური არსებობაც კი...

დიდხანს ითმინა ჩინეთის ხალხმა ასეთი მდგომარეობა. ბოლოს, როცა მეტის ატანა შეუძლებელი შეიქნა, როცა ხალხის მოთმინების ფიალა პირამდე აივსო, ის იარაღით ხელში გამოვიდა თავისი ნაციონალური სახის, თავისი ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად, თავისი კერისა და ქვეყნის დასაცველად.. საუკუნოებით მონობის უღელქვეშ მგმინავმა ჩინეთმა დააღწია თავი სალათას ძილს, გადააგორა თავისი საკუთარი საფლავის ლოდი, რომელიც იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ინგლისის მეთაურობით დაადეს მას გულზე, და დღეს იგი იარაღით ხელში უსწორდება თავის შინაურსა და გარედან შემოპარულ ჯალათებს.

ჩინეთის რევოლიუცია დღეს უკვე ფაქტია. ის შეიძლება ჯერ კიდევ არა ერთხელ დამარცხდეს, შეიძლება ასჯერ მეტი მსხვერპლის გაღება დასჭირდეს თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხს თავისი საბოლოო მიზნების მისაღწევად. მაგრამ ჩინეთის უკან დაბრუნება, მონობის უღელში მისი ხელახლა გაბმა შეუძლებელი საქმეა. ის ჩამორჩენილი და ყველასი მონა ჩინელი ხალხი, რომელიც უმაგალითო მორჩილებით ითმენდა ათასგვარ ტანჯვაწვალებას, რომელიც ტუჩებზე კმაყოფილების ღიმილით ცდილობდა მოელბო თავისი უგულო ჯალათების გული, ჩინეთის ხალხი, რომელიც თავის საკუთარ დასაფლავების დროსაც კი იცინოდა, დღეს რევოლიუციის დროშის ქვეშ იბრძვის, ის უკვე გასწორდა წელში, მისი თვალებიდან დღეს ცეცხლი იკვესება, მის ტუჩებზე მონური ღიმილის ნაცვლად დღეს საშინელი მრისხანება იხატება...

და ამ დროს რევოლიუციის ცეცხლით დამფრთხალი ჩინეთის ხალხის ჯალათები, მთელი ქვეყნის იმპერიალისტები, ცბიერი ალბიონის მეთაურობით, იარაღით ხელში შესევიან თავისი ყოფნა-არყოფნისათვის მებრძოლ ჩინეთის ხალხს, ხოცავენ და ჟლეტენ მას.

როგორი უნდა იყოს ამ დროს არა თუ სოციალისტისა და რევოლიუციონერის, არამედ ყველა შეგნებული და პატიოსანი მოქალაქის როლი? რა თქმა უნდა, ყველასი გული სავსეა მებრძოლებისადმი თანაგრძნობით, ყველასი გული აღტყინებულია იმპერიალისტური ჯალათებისადმი ზიზღით.

მაგრამ არიან თურმე ისეთი „სოციალისტები“, რომლებიც იმპერიალისტურ ყაჩაღებს თანაუგრძნობენ, რომლებიც მათ ამართლებენ. რატომ? იმიტომ, რომ ჩინეთის რევოლიუციაში თურმე კომუნისტებს უთამაშნიათ დიდი როლი, რომ ისინი „დაპატრონებიან“ ჩინეთის ხალხის განმანთავისუფლებელ ბრძოლას. დიახ, არიან თურმე ასეთი „სოციალისტებიც“ და იმათ რიცხვს ეკუთვნის ევგენი გეგეჭკორიც. აბა, მოვუსმინოთ მას:

„ჩინეთის ეროვნულ მოძრაობას ლამის დაეპატრონოს ისეთი ძალა, რომელიც მისი ბუნების შეურიგებელი მტერია. დღეს იმპერიალისტებს შორის ყველაზე დიდ საშიშროებას ჩინეთისათვის მოსკოვი წარმოადგენს“ („ბრძოლა“, № 21).

ამრიგად, „სოციალისტი“ ევგენი გეგეჭკორი გამოდის ჩინეთის რევოლიუციის დამფასებლის როლში და საბრალმდებლო ოქმს უყენებს არა იმპერიალისტებს, არამედ წითელ მოსკოვს, რაც იმავე დროს იმპერიალისტების დაცვას მათი ყაჩაღობის გამართლებას მოასწავებს.

რას იზამთ? ასეთი ყოფილა რევოლიუციისა და მუშათა პარტიის დეზერტირების ფსიქოლოგია. ისინი, ვის პურსაც მიირთმევენ, იმას აქებენ. იმპერიალისტური სახელმწიფოების კარზე ხეტიალი, მათი ნამცეცებით თავის რჩენა და იმავე დროს იმპერიალისტების ძაგება, რა თქმა უნდა, არ შედის ამ დეზერტირების პროგრამაში.

მაინც რაშია საქმე? რა დააშავა საბჭოთა კავშირმა ჩინეთის რევოლიუციაში მაინც? ის, რომ მან ხელი შეუწყო ჩინეთის ხალხის გამოღვიძებას? მაგრამ ეს ხომ ყველა სოციალისტური პარტიებისა და ყველა სოციალისტურად მოაზროვნე მოქალაქის ვალია? როდის იყო, რომ ს. ს.-დ. პარტია, ის პარტია, რომელსაც ჰქონდა დიდი უბედურება თავის მეთაურთა შორის ჰყოლოდა ისეთი სოციალისტებიც, როგორიც ბრძანდება „პოზიორი“ გეგეჭკორი, წინააღმდეგი იყო ჩამორჩენილ ერებზე სოციალისტური გავლენის მოხდენისა და მათი რევოლიუციის ფერხულში ჩაბმისა?... ამის არ ცოდნა შეიძლება ეპატიოს გეგეჭკორს, მაგრამ ეს არ ეპატიება „ბრძოლის“ ყოფილ სოციალისტებს, რომლებიც ასე უკომენტარიოთ ბეჭდავენ თავისი ჟურნალის ფურცლებზე მოქ. გეგეჭკორის პოლიტიკური სიბრძნის ასეთ შედევრებს.

ჩინეთის რევოლიუცია ღვიძლი ძმაა რუსეთის დიდი რევოლიუციისა. რევოლიუცია სხვისი კარნახით, მეზობლების რჩევით, არ ხდება. რევოლიუცია ნაყოფია თვით სახელმწიფოში კლასთა შორის ძალთა განწყობილებისა, მათი ჭიდილისა. მაგრამ ასეთ საქმეში კარგი მაგალითიც ძვირად ღირს. წინა კაცი უკანასი ხიდიაო, ნათქვამია, და რუსეთის ხალხებმაც აი ამ ხიდის როლი ითამაშეს ჩინეთის რევოლიუციაში. რუსეთის რევოლიუცია უდიდესი სკოლა შეიქნა ჩინეთის რევოლიუციის ხელმძღვანელთათვის. რუსეთის რევოლიუციამ არა მარტო მორალურად გახადა შესაძლებელი ჩინეთის რევოლიუცია... მან გამოაღვიძა მონობის ჯაჭვებში ჩაჭედილი ჩინეთის ხალხი, მან გაუნათა მას სავალი გზა, მან ასწავლა ბრძოლის მეთოდი... დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ თუ არა წითელი ოქტომბერი, ჩინეთის რევოლიუციაც შეუძლებელი იქნებოდა...

ჩამორჩენილი, ძველის-ძველი კულტურის რკინის ჩარჩოებში ჩარკინული ჩინეთი საუკუნეთა განმავლობაში წარმოადგენდა ჩამორჩენილობისა და კონსერვატიზმის დაუშრეტელ წყაროს, მის ზნეობრივ გამართლებას. რაც უნდა ცუდ პირობებშიც არ უნდა ყოფილიყო რუსეთის ხალხი, მან იცოდა, რომ ჩინეთის ხალხი კიდევ უარეს პირობებში იყო. ეს ახლუნგებდა ჩაგრულთა ძალას, არიგებდა მას არსებულ წესწყობილებასთან. ჩამორჩენილი ჩინეთი იმავე დროს ერთგვარ გასამართლებელ საბუთს აძლევდა ხალხის ჯალათებს.

მარტო ეს გარემოება საკმაო უნდა იყოს იმისათვის, რომ ყოველმა პატიოსანმა ადამიანმა არა თუ თანაუგრძნოს ჩინეთის რევოლიუციას, აქტიურადაც დაეხმაროს კონსერვატიზმისა და ჩამორჩენილობის წყაროს მოსპობისთვის მებრძოლებს. როგორ შეიძლებოდა უზარმაზარი ჩინეთის გვერდით რუსეთის დიდი რევოლიუციის მონაპოვართა შენარჩუნება, სოციალიზმის დამყარებაზე ფიქრი, თუ ჩინეთი ისევ ისე დარჩებოდა სიბნელისა და მონობის წყაროდ?

ამიტომაც უდიდესი საქმე, რომელიც უნდა გაეკეთებიათ რუსეთის რევოლიუციის მესვეურებს, ეს უნდა ყოფილიყო ჩინეთის ხალხისათვის მუჯლუგუნის წაკვრა, მისი გამოღვიძება. ასე უნდა მოქცეულიყო ყველა რევოლიუციონური და სოციალისტური პარტია, ასე მოიქცა კომუნისტური პარტიაც.

„დიპლომატი“ ევგენი გეგეჭკორი კი ამას დანაშაულად უთვლის კომუნისტურ პარტიას და იმდენი გაგებაც არა აქვს, რომ ჩინეთის რევოლიუციაში კომუნისტების როლის გაბიაბრუებით ის ერთის მხრით წყალს ასხამს იმპერიალისტური სახელმწიფოების წისქვილზე, ამართლებს მათ ყაჩაღურ თავდასხმას ჩინეთის რევოლიუციონურ

ხალხზე და მეორეს მხრით—უარჰყოფს თვით რუსეთის დიდ რევოლიუციასა და მის მიზნებს.

ევროპის იმპერიალისტების ნასუფრალის შემყურე „დიპლომატებს“ მეტი რა დარჩენიათ, რომ ყოველგან და ყოველთვის ამ მათი გულუხვი მასპინძელი იმპერიალისტების დამცველად არ გამოვიდენ. მაგრამ ეს ვაჟბატონები ამ საქმეში მეტის-მეტად ამლაშებენ. ისინი არა თუ შორეულ აღმოსავლეთში ამართლებენ იმპერიალისტების ყაჩაღობას და პასუხისმგებლობას კომუნისტებს ახვევენ თავზე, თვით ევროპის პროლეტარიატის ბრძოლის დაფასების დროსაც ასევე იქცევიან. რა ქნან? ადვილი საქმე როდია ორ ფრონტზე მუშაობა, ერთსა და იმავე დროს ორი სხვადასხვა სახის მიღება, ორი სხვადასხვა, ერთი მეორესთან მტრად განწყობილი ბატონის სამსახური, ორი მებრძოლი მხარის გულის მოგება. ევროპის იმპერიალისტების „კოშტზე“ მცხოვრები „სოციალისტები“ მუდამ იძულებული არიან თავის მწყალობელ ბატონებსაც ასიამოვნონ და მათი მესაფლავე ევროპის პროლეტარიატის თვალშიც სახელი არ გაიტეხონ. მაგრამ გეგეჭკორის ჯურის სოციალისტები ხშირად ივიწყებენ ამ ორპირ და ორსახოვან იანუსისათვის სავალდებულო „პოზას“ და ხანდახან თავისი ნამდვილი სახითაც გამოდიან.

აი ახლაც ქართველი ემიგრაციის ბელადებს მოუნდომებიათ თავისი მასპინძლების გულის მოგება, ეს როლი „დიპლომატი“ ევგენი გეგეჭკორისათვის მიუნდვიათ და ისიც ჩინებულად ასრულებს ნაკისრ მოვალეობას. მოვუსმინოთ თვითონ გეგეჭკორს:

„ბრიტანეთის მაღაროების მუშათა გაფიცვა ხომ მოსკოვის გავლენის მსხვერპლი გახდა. კუკი, ამ გაფიცვის მეთაური, არც მეტი არც ნაკლები—მოსკოვის აგენტი გამოდგა და სწორედ მისმა ტაქტიკამ მოგვცა შედეგად: 117 მილიონი ტონით ნაკლები პროდუქცია, 147 მილიონი დაკარგული მუშა-დღე, შვიდნახევარი მილიარდი ფრანკით ნაკლები ხელფასი; ხელფასის 10 პროცენტის დაკლება, ერთი საათით სამუშაო დღის გადიდება და ორასი ათასი მუშის უმუშევრად დარჩენა“ („ბრძოლა“, № 21).

ასე აფასებს „დიპლომატი“ გეგეჭკორი ინგლისის მაღაროების მუშების უმაგალითო ბრძოლას. ის ამ ბრძოლის წაგებაში პასუხისმგებლობას მოსკოვს აკისრებს და მით ორნაირ თაღლითობას ეწევა: თავის უხვ მასპინძლებს— კაპიტალისტებსაც — ამართლებს და იმავე დროს ვითომ მუშების ინტერესებსაც არ სჩაგრავს. გეგეჭკორის ლოლიკა ასეთია: ბრძოლის წაგებაში თურმე ინგლისის მაღაროების პატრონებს კი არ უდევთ ბრალი, ეს მოსკოვისა და მისი აგენტების ბრალია. თუ ეს უკანასკნელები საქმეში არ ჩაერეოდენ, მაღაროების მუშებიც მოგებული იქნებოდენ, რადგანაც ინგლისის ბურჟუაზია მათ უფრო ლმობიერად მოეპყრობოდა და დათმობაზე წავიდოდა. აქ ყოველიფერი კომუნისტების ბრალია.

მაგრამ მიუდგეთ საკითხს სხვა მხრიდანაც. ინგლისის მაღაროების მუშები გაიფიცენ. ეს გაფიცვა ერთი უდიდესთაგანი იყო, რომელიც კი ახსოვს ინგლისის პროლეტარიატის ისტორიას. როგორი უნდა ყოფილიყო ამ დროს მოსკოვისა და საბჭოთა სახელმწიფოების პროლეტარიატის როლი? რასაკვირველია, ისეთი, როგორიც მათ ითამაშეს. საბჭოთა პროლეტარიატს ყოველგვარი თანაგრძნობა უნდა გამოეცხადებია თავისი მოძმე ინგლისის მებრძოლი პროლეტარიატისთვის და ის ასეც მოიქცა. მერე ეს დასაძრახია? ასე იქცეოდა ყოველგან და ყოველთვის მებრძოლი, რევოლიუციონური პროლეტარიატი, ასე იქცეოდა თვით საქართველოს ს.-დ. პარტიაც, სანამ ის მართლაც რევოლიუციონურ პარტიას წარმოადგენდა. გადაათვალიერეთ მენშევიკების დროის საქართველოს გაზეთები და თქვენ იქ ამოიკითხავთ ჟურუყვეთის, ან საჯამიასერის „პროლეტარიატის“ პროტესტებს წინააღმდეგ ევროპის ბურჟუაზიისა, რომელიც სჩაგრავს თავის პროლეტარიატს... აქ სასაცილო არაფერია. ასე იქცეოდა ს.-დ. პარტია ჩვენში, სანამ იგი მართლა კლასთა ბრძოლის პარტია იყო და კარგადაც შვრებოდა.

მაშასადამე, თუ ჟურუყვეთის „პროლეტარიატს“ კი უკარნახებდით ევროპის პროლეტარიატს კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლის დროს თანაგრძობა გამოუცხადეო, რა დააშავეს უზარმაზარმა, მთელ დედამიწაზე უდიდესმა საბჭ. კავშირის სახელმწიფოებმა და მათმა მსოფლიო რევოლიუციის ავანგარდმა პროლეტარიატმა, რომ მათ ნებას არ აძლევთ ინგლისის პროლეტარიატის თავგამოდებით ბრძოლას გულ-ხელ დაკრეფილი არ შეხედონ და თავისი თანაგრძნობა გამოუცხადონ?

მოსკოვის დანაშაული, ალბათ, იმაში მდგომარეობს, რომ მან ამ ბრძოლაში კომუნისტურად მიდგა საქმეს და არა მენშევიკურად, ესე-იგი მუშებს ურჩია ბრძოლის გაგრძელება და კომპრომისების უარყოფა, რითაც მეორე ინტერნაციონალის იდეალის განხორციელებას — კლასთა შორის სათნოების დამყარებას — ხელი შეუშალა. აი სწორედ ამიტომ ინგლისის მაღაროების მუშების მიერ ბრძოლის წაგების მიზეზად მოქ. გეგეჭკორი კომუნისტებს აცხადებს და მუშებს ეუბნება: — თქვენი დაჩაგვრის მიზეზი ინგლისის მაღაროების პატრონები, ბურჟუაზია და მისი მთავრობა კი არ არის, მოსკოვი და მისი აგენტებიაო. აწი მაინც უბრუნეთ ზურგი მოსკოვს, დაუჯერეთ ინგლისის ბურჟუაზიას და მის აგენტებს, — მეორე ინტერნაციონალის ლიდერებს, — და თქვენი საქმეც წაღმა წავაო.

ასეთია მოქ. გეგეჭკორის ფილოსოფიის მთელი შინაარსი. მაგრამ ინგლისის პროლეტარიატს რომ ეს ბრძოლა მოეგო, მაშინ ის ან სულ გაჩუმდებოდა, რომ თავისი უხვი მასპინძელი ბურჟუაზიის გულისწყრომა არ დაემსახურებია, ანდა, თუ ეს გამარჯვება ისეთი იქნებოდა, რომ მას ბურჟუაზიის შიში არ ექნებოდა, მაშინ ამ საქმეს მეორე ინტერნაციონალს მიაწერდა... დღეს, როცა ინგლისის პროლეტარიატმა ბრძოლა წააგო, როცა ინგლისის ბურჟუაზია გამარჯვებას დღესასწაულობს, როცა იგი კიდევ უფრო უჭერს მუხრუჭებს დამარცხებულ მებრძოლთ, გეგეჭკორები ბედავენ არბიტრის როლში გამობრძანდენ და ამ უდიდესი სოციალური უბედურების მიზეზი სადღაც შორს, მოსკოვში ეძებონ, რითაც ურცხვად ამართლებენ პროლეტარიატის ჯალათებს, თავიდან აშორებენ მას პასუხის მგებლობას... ეს უკაცრავად პასუხია „სოციალისტები“ არ იღებენ და არ სცნობენ წაგებულ ბრძოლას. ისინი არ იღებენ ინგლისის მაღაროების მუშების უმაგალითო, მაგრამ წაგებულ ბრძოლას და მით ლოლიკურად უარსყოფენ ყველა წაგებულ ბრძოლას, წაგებულ რევოლიუციას, უარყოფენ 48 წლის რევოლიუციას, პარიზის კომუნას, 1905 წლის რევოლიუციას.

რატომ? იმიტომ, რომ ყველა ამ რევოლიუციამ, როგორც წაგებულმა ბრძოლამ, დროებით მაინც კიდევ უფრო გაართულა და გააუარესა მებრძოლი პროლეტარიატის მდგომარეობა; ყველა იმათ უდიდესი რეაქციით უპასუხეს გამარჯვებულმა კლასებმა...,

ასეთია ამ რევოლიუციისა და სოციალიზმის დეზერტირი ხალხის ფილოსოფია, ასეთია მათი მართლმსაჯულება. მაგრამ მეტი რა უნდა მოვთხოვოთ ამ გალიუცინაციით შეპყრობილ ხალხს?

* * *

ცოტა რამ გალიუცინაციაზეც.

ჩვენ ხელთა გვაქვს „დამოუკიდებელი საქართველოს“ მე-14 ნომერი, რომელშიც მოთავსებულია ქართველი ემიგრაციის თითქმის ყველა პარტიის ლიდერების წერილები, დაწყებული ნოე ჟორდანიადან და გათავებული გიორგი გვაზავა და რ. ინგილოთი. როცა მათ წერილებს კითხულობთ ტანში ჟრუანტელი გივლით და თავი გალიუცინაციის სამეფოში გგონიათ. თქვენ აქ ხედავთ: „ლანდებს“, თქვენ აქ გესმით ბოდვა დაკარგულ ნეტარებაზე, გესმით ტირილი, ტირილი და დაუსრულებელი ტირილი.

ვინ არის ამ ტირილის ობიექტი? ვის დასტირიან? ვინ ეგულებათ საფლავში, რომელსაც ისინი თავს ადგიან?

საქართველო, ქართველი ხალხი!

რა მოხდა? მოკვდა ქართველი ხალხი? დაიღუპა საქართველო?

არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. პირიქით. საქართველო აღსდგა მკვდრეთით. ის მედგრად მიიმართება წინ პროგრესისა და კულტურის გზაზე. ქართველმა ხალხმა გამოიცვალა მხოლოდ მართვა - გამგეობის ფორმა. დემოკრატიული წეს-წყობილების ადგილი საბჭოების სისტემამ დაიჭირა. ს.-დ. პარტიის ნაცვლად კომუნისტური პარტია განაგებს ქვეყანას. ეს ცვლილება მხოლოდ ს.-დ. პარტიის წევრებს შეუძლიან დააფასონ თავისი პარტიული თვალსაზრისით, მხოლოდ მათ შეუძლიათ თავისი პირადი დამარცხება ხალხის დამარცხებათ გამოაცხადონ; თავისი პირადი სევდა ხალხის სევდათ გაასაღონ.

ხალხისათვის საკითხი ასე არა სდგას. ის ამ პარტიულ ჭიდილზე მაღლა სდგას. ის მხოლოდ ერთ მოთხოვნილებას უყენებს მთავრობას, მან მხოლოდ ერთი იცის: კარგია ის მთავრობა, ის ხელისუფლება, რომელიც გააუმჯობესებს მისი არსებობის ეკონომიურ და პოლიტიკურ საფუძვლებს; კარგია ის მთავრობა, რომელიც მიანიჭებს მას მართლაც დამოუკიდებელ არსებობას, ვინც გაამტკიცებს მის სუვერენობას.

დღეს ეს ხდება. საბჭოთა ხელისუფლება დღეს ყოველ ამას აძლევს ქართველ ხალხს. ხალხი თავისი საკუთარის თვალებით ხედავს ამას და იგი კმაყოფილია. კიდევ მეტიც: ის იარაღით ხელში დაიცავს თავის საბჭოთა სამშობლოს...

ნოე ჟორდანიამ ჩვენზე კარგად იცის, რომ ხალხი უაღრესად მატერიალისტია, რომ მას ცარიელი სიტყვები არ უყვარს. ქართველმა ხალხმა იცის, თუ რას წარმოადგენდა მისი დამოუკიდებლობა დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს. მან იცის, რომ ის მხოლოდ ითვლებოდა დამოუკიდებლად, მაგრამ ის სინამდვილეში არ იყო დამოუკიდებელი. მართლაც, რა დამოუკიდებლობა ჰქვია ისეთ დამოუკიდებლობას, როცა ანტანტის უბრალო ოფიცრებსაც კი შეეძლო ფეხით გაეთელათ იგი? რა დამოუკიდებლობა შეუძლია დაიკვეხოს ისეთმა მთავრობამ, რომლის ოფიციალურ სხდომაზეც მიდის ინგლისისა და საფრანგეთის ორი ოფიცერი და თვით მთავრობას, ვითომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელისუფლების განხორციელებას, ციხეში დაპატიმრებით ემუქრებიან. მოიგონეთ ინგლისის გენერალი რაიკფორდის ისტორია.

რა ვუყოთ, რომ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებლად იცნეს 22 სახელმწიფომ. ძველი რომაელები ამბობდნენ: მგლები დათვლილ ცხვრის ფარასაც ისე ანადგურებენ, როგორც დაუთვლელსო. ეს ჩვენს დამოუკიდებლობაზე განაცხადეს ანტანტის სახელმწიფოებმა. ჩვენც სახელმწიფოთა რიცხვში ჩაგვთვალეს, ვითომ ჩვენი დამოუკიდებლობაც იცნეს, მაგრამ თვითონ ისინი, როცა კი მოესურვებოდათ, ფეხებით თელავდენ ჩვენს დამოუკიდებლობას.

დღეს საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური პირობები ძირ-ფესვიანად შეიცვალა... რაც გინდათ ბრძანეთ და ვერ დავიჯერებთ, რომ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი არ იყოს. ეს პოლიტიკურად. რაც შეეხება დამოუკიდებლობის ეკონომიურ საფუძვლებს, ამას დღეს ბრმაც კი ხედავს და ამაზე აქ ლაპარაკიც მეტია.

მაშასადამე, სად არის ამ ერთსულოვანი ტირილისა და ვაების მიზეზი. რატომ დასტირიან თავს ამ საქართველოს ემიგრაციის ბელადები? რისი და ვისი ეშინიათ! ნუ თუ რუსეთის? მაგრამ რუსეთის საშიშროება ნოე ჟორდანიას მაშინაც არ სჯეროდა, როცა თვითმპყრობელობა არსებობდა, როცა ჩვენი ქვეყნის ინტერესები, მისი კულტურა, მისი ეროვნული სახე, ფეხით ითელებოდა, როცა მისი ენა ძაღლის ენათ იყო გამოცხადებული, როცა მისი სიმდიდრეს ცენტრისაკენ ეზიდებოდენ, როცა ქართველი თავის საკუთარ ოჯახში „ინოროდცათ“ იყო გამოცხადებული. მაშ რა უნდა მოუვიდეს ქართველ ერს დღეს, როცა თვითმპყრობელობა მან თავისი ხელით მოსპო მისი მოძმე რუსეთის სხვა ერებთან ერთად? რისი უნდა ეშინოდეს თავისუფალ საქართველოს დღეს იმავე რუსეთთან თავისუფალ ძმურ კავშირში? რა სჭირს სატირალი ქართველ ხალხს დღეს, როცა მის კულტურას ასე ამაყად გაუშლია ფრთები, როცა მის სიმდიდრეს არავინ სტაცებს?

ჩვენ ყველა აქ, საქართველოში დარჩენილები, ამას ვხედავთ და ამიტომ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია „რუსეთის შიში“. ჩვენ ამას ვხედავთ და ამიტომ არ შეგვიძლია დავუჯეროთ ნოე ჟორდანიას, როცა ის გვეუბნება:

„გაქრა ის დრო, როცა ქართველი ხალხი ჩრდილოეთიდან სინათლეს სასოებით მოელოდა. იქიდან მოდის სიბნელე და მან ზურგი შეაქცია მას“. (იხ. „დამოუკიდებელი საქართველო“, № 14).

ეს მართალი არ არის. მაგრამ ეს ამონაწერი მხოლოდ იმ მხრით არის საყურადღებო, რომ ის ყველაზე უფრო ახასიათებს დღევანდელ ნოე ჟორდანიას.

ვინ მოელოდა „სინათლეს რუსეთიდან“? ვინ ქადაგებდა მთელი 35 წლის განმავლობაში: „რუსეთიდან სინათლე მოდისო“? ვინ ჩააგონა ეს ქართველ ხალხს? ეს ჰქნა ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიამ. ასე გვასწავლიდა იგი თვითმპყრობელი რუსეთის არსებობის დროს. დღეს კი, როცა რუსეთის იმპერიაში მობინადრე ყველა მშრომელმა ხალხმა დაიჭირეს, ეს რუსეთის აპოლოგეტი ნ. ჟორდანია გვასწავლის: „რუსეთიდან სიბნელე მოდისო“.

მაშ ასე: თვითმპყრობელი რუსეთი საქართველოს სინათლისა და ბედნიერების წყარო იყო, კომუნისტური რუსეთი — სიბნელისა და უბედურების წყარო!?

ვინ გინდათ დააჯეროთ ამაში, პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძევ!? ვერც იმაში დააჯერებთ ვერავის, რომ „ქართველმა ხალხმა რუსეთს ზურგი შეაქცია“. არა. ხალხს კი არ შეუქცევია ზურგი რუსეთისთვის, მას ზურგი შეაქციეს ამ ხალხის ზოგიერთმა ყოფილმა ლიდერებმა, რომლებიც ვერ შეურიგდენ თავისი პირად დამარცხებას, რომლებსაც ვერ მოუნელებიათ პარტიული ჯინი. აი, ეს პარტიული ჯინით შეპყრობილი ხალხი ცდილობს დღეს ქართველი ხალხის რუსეთის ხალხების წინაამდეგ ამხედრებას. ყოფილი ს.-დ. პარტის ყოფილი ლიდერები უშხაპუნებენ მის სხეულს რუსეთის ხალხების სიძულვილს და მით საშინელ სამსახურს უწევენ თვით იმ ხალხს, რომლის სახელსაც ისინი ფიცულობენ.

დღეს ამას სჩადის თვით ნოე ჟორდანია. დღეს ის შეუბრალებლად ღუპავს იმ დიდ საქმეს, რომლის უდიდესი მოციქულიც თვითონ იყო, დღეს ის ანგრევს ქართველი ხალხისა და რუსეთის ხალხების სოლიდარობის ტაძარს, რომლის უდიდესი ხუროთ მოძღვარი ის თვითონ იყო.

ყარიბი

# ჟენევის ეკონომიური კონფერენციის მთავარი მიზნები

## II

მსოფლიო ომმა და მისგან გამოწვეულმა ნივთიერი დოვლათის განადგურებამ საშინელი ხაოსი შექმნა, ყველა სახელმწიფოების სმეურნეო ცხოვრებაში,—გარდა ამერიკისა, რომელიც როგორც ზემოთ დავინახეთ, ძლიერ გამდიდრდა ამ საერთო კატასტროფის დროს და ევროპის ყველა სახელმწიფოები ფინანსიურად და ეკონომიურად სავსებით ჩაიგდო ხელში.

ევროპა გალატაკდა, მისი სამეურნეო ცხოვრება დაირღვა მსოფლიო ომის შემდეგ აგერ ათი წელიწადი გადის და ის მინც ვერ ახერხებს ომის დროინდელ ეკონომიურ პირობების შექმნას. ამას ყველაზე უფრო ადვილად დავინახავთ ევროპის სახელმწიფოების ფულის საკითხის მოწესრიგების საქმეში, რაც შეადგენს ერის სამეურნეო ცხოვრების უტყუარ სარკეს. ფულის მეურნეობა, მისი ნო-

რმალური ტრიალი, მისი კურსის სიმტკიცე და ქაღალდის ფულის ნიშნის ოქროს პარიტეტზე პროცენტული გაზომვა ყოველთვის იყო მაჩვენებელი ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიური სიძლიერესა. თუ რომელიმე სახელმწიფოში ეს მეურნეობა მოშლილია: ფინანსების კურსი დაცემულია, ეს მაჩვენებელია საერთო სახალხო ეკონომიური ცხოვრების მიდუნებისა და მისი დაქვეითებისა. ამრიგად ფულის მეურნეობის მდგომარეობა საუკეთესო ბარომეტრია სახელმწიფოს ეკონომიური არსებობისა. ამიტომ განვიხილოთ ამ საკითხის მდგომარეობა ევროპის უდიდეს სახელმწიფოებში.

ვნახოთ რას უდრიდა ნიუ-იორკში საზღვარ-გარეთელი ვალიუტის კურსი (% % ოქროს ფულთან შედარებით).

| წლები: | გერმ. | ინგლ. | საფრ. | ბელგ. | პოლონ. |
|---|---|---|---|---|---|
| 1924 შუა თვე | 98,80 | 90,78 | 27,07 | 24,01 | 101,88 |
| 1925 შუა თვე | 99,96 | 99,25 | 24,69 | 24,66 | 92,16 |
| 1926 იანვარი | 99,96 | 99,87 | 19,53 | 23,52 | 69,53 |
| 1926 ივლისი | 99,96 | 99,87, | 12,72 | 12,59 | 52,64 |

ეს ცხრილი გვაჩვენებს, რომ დასახელებული დროის განმავლობაში ინგლისის სტერლინგი და გერმანიის მარკა უკვე მივიდა მტკიცე და მაგარ ოქროს პარიტეტამდი. ამავე დროს საფრანგეთის, პოლონეთის და სხვა სახელმწიფოების ვალიუტა თანდათან ძირს ეცემა. ინგლისისა და გერმანიის ფულის მდგომარეობა გამოაბრუნა იმ გარემოებამ, რომ ამ სახელმწიფოებმა მოახერხეს ომის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებისაგან სესხის აღება. გერმანიამ, დოუესის გეგმის მიხედვით, სესხად აიღო ამერიკიდან 50 მილიონი დოლარი; ამ სესხის მეოხებით დასახელებულმა სახელმწიფოებმა შესძლეს თავისი საკუთარი ვალიუტის გამაგრება.

აღსანიშნავია, რომ გერმანიის მრეწველობის პროდუქცია ვერ პოულობს გამსაღებელ ბაზარს; ამის გამო მთელი რიგი წარმოებისა იკეტება და ამ ნიადაგზე მასიურ უმუშევრობას აქვს ადგილი. ამის და მიუხედავად გერმანია ნასესხები დოლარების შემწეობით ხელოვნურად მაინც ახერხებს თავისი ფულის კურსის აწევას.

ასეთივე ხელოვნურია ინგლისის გირვანქის განმტკიცებაც; ყველასთვის აშკარაა, რომ ინგლისში დღეს დიდი სამრეწველო კრიზისია; იქ უმუშევართა არმია თანდათან იზრდება და ამ დროს ფულის კურსის განმტკიცება, რასაკვირველია არ ნიშნავს იმ ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების სავსებით გაჯანსაღებას; აქაც პალიატივთანა გვაქვს საქმე.

, ეხლა გავსინჯოთ მსოფლიო წარმოების ზოგადი ციფრები და აგრეთვე გავეცნოთ საკითხს იმის შესახებ, თუ რას უდრის დათესილი პურეულობის რაოდენობა.

ევროპაში ამოღებული ნახშირის რაოდენობა უდრიდა (საბჭოთა კავშირი ანგარიშში არ შედის) ომის წინანდელ დროსთან შედარებით: 1925 წ. 90,1 პროც.; თუჯის რაოდენობა — 78,4 პროც.; ფოლადის — 93,9 პროც.

ნათესი კი ომის წინა დროსთან შედარებით უდრის 90,8 პროც.

ამერიკის კი იმავე 1925 წელს ასეთი მდგომარეობა იყო: ნახშირის დამუშავება—102,5 პროც., თუჯის—118,8 ფოლადის — 141,2 პროც. პურეულობით დათესილი სივრცე—110,8 პროც.

ზემო მოცემულ ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ გაასწრო ამერიკამ ევროპას როგორც მრეწველობის, ისე სასოფლო მეურნეობის განვითარების საქმეში.

ხორბლეულობით დათესილი სივრცე ომის წინა დროსთან შედარებით 1925 წ. გამოიხატებოდა: **საფრანგეთში— 81,7 პროც.**, გერმანიაში — 90,7 პროც., ინგლისში—89,4 პროც.; საბჭოთა კავშირში-კი — 86,4 პროც.

კიდევ უფრო ნათელი სურათი გვეძლევა შემდეგი ციფრებით: ნახშირის ამოღება უდრიდა 1926 წ. 1 ივნისისათვის საბჭოთა კავშირში 85 პროც.; ევროპაში 75 პროც.

ევროპის ბურჟუაზიამ მსოფლიო ომის შემდეგ დააყენა საკითხი წარმოების მოგვარებაზე. მან მოისურვა კაპიტალისტურ ეკონომიკაში ერთნაირი სწორწონაობა და გეგმიანობა შეეტანა და პროდუქცია გაეიაფებია. ის დაადგა რაციონალიზაციის გზას და ცდილობდა საქონლის დამზადება რაც შეიძლება იაფად დაჯდომოდა. ამან კი გამოიწვია მუშებთან მთელი რიგი კონფლიქტებისა. ბურჟუაზიამ სამკვდრო - სასიცოცხლო იერიშები მიიტანა მუშებზე, რასაც შედეგათ მოჰყვა კანონმდებლობითი წესით მუშის სამუშაო დროის გადიდება ასე, მაგალითად: იტალიაში 8 საათის მაგივრად შემოღებული იქნა 9 საათის სამუშაო დღე: ინგლისში ნახშირის მადნებში 7 საათის მაგივრად შემოიღეს 8 საათი.

მაგრამ მუშები ფაქტიურად მეტს მუშაობდენ. ასე მაგალითად: იტალიაში 9—12 საათამდის; პოლონეთში 8—11 საათამდე; ვენგრიაში—9—12 საათმადე; ფილიანდიაში 9—10 საათამდე; ბოლგარიაში 9—15 საათამდე; იუგოსლავიაში 9—11 საათამდე; რუმინიაში 9—12 საათამდე; ლატვიაში 10—15 საათამდე; ესტონიაში 9—12 საათამდე.

ამავე დროს მუშათა ხელფასი საგრძნობლათ შემცირდა. მაგალითად იტალიაში საცხოვრებელი მინიმუმი თვიურათ მუშის ოჯახს სჭირდება 900—1000 იტალიური ლირა. მუშა კი იღებს 200—700-მდე ლირას. გერმანიაში მუშების რეალური ხელფასი 1925—26 წ. შეადგენდა 79 პროც. ომამდის არსებულ ნორმისა.

ამერიკული სავაჭრო უწყების ბიუროს ცნობების მიხედვით, ჩრდილოეთ შტატებში 1919—1926 წ. მუშის შრომის ნაყოფიერება გაზრდილა 30 პროც., ხელფასი კი გადიდებულა მხოლოდ 11 პროც.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ მრავალი ციფრები მოგვეყვანა იმის დასამტკიცებლად, რომ კაპიტალისტურმა რაციონალიზაციამ მუშათა კლასის მდგომარეობა საგრძნობლად გააუარესა. ნაციათა ლიგის უმუშევართა ბიუროს ცნობით ამჟამად მარტო ლიგაში შემავალ სახელმწიფოებში უმუშევართა რიცხვი ოჯახის წევრებთან ერთად უდრის 25 მილიონს სულს.

ეგრეთ წოდებულმა რაციონალიზაციამ ვერ გადასჭრა და ვერ მოაგვარა, მუშათა საკითხი, მან ვერ გადასჭრა კაპიტალისტური მეურნეობის უმთავრესი საკითხები და დისპროპორცია უწინდებულად რჩება ძალაში. აგრეთვე გადაუჭრელი რჩება ცენტრალური პრობლემა კაპიტალისტური ეკონომიკისა — ბაზრის საკითხი. რაციონალიზაციამ კიდევ უფრო გაართულა ბაზრის საკითხი, ვინაიდან მან სხვა პირობებთან ერთად გამოიწვია მასიური უმუშევრობა, ესე-იგი მან ძალზე შეასუსტა მომხმარებელი საზოგადოების მყიდველობითი უნარი, რამაც თავისთავად გამოიწვია საქონლის გასაღების შემცირება.

ბურჟუაზიული სახელმწიფოებში და საბჭოთა კავშირში წარმოებული რაციონალიზაცია მითი განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან, რომ ბურჟუაზია რაციონალიზაციით მიზნად ისახავს კაპიტალიზმის გამაგრებას, მაშინ, როცა საბჭოთა კავშირის რაციონალიზაცია მიმართულია საზოგადოებრივი წარმოების — სოციალიზმის განმტკიცებისაკენ. საბჭოთა კავშირის რაციონალიზაცია ემსახურება მასიურ საგნების დამზადების საქმეს, მომხმარებელი მასსების დაკმაყოფილებას, მაგრამ იგი ვერ ასწრობს ბაზრის დაკმაყოფილებას — მოთხოვნილება მეტია დამზადებულ საქონელზე, კაპიტალისტური მეურნეობის ბაზარი უფრო ვიწროა, ვიდრე მისი წარმოება. ამიტომ, საბჭოთა კავშირის წარმოების კურსი მიმართულია წარმოების გაფართოებისაკენ — ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ. ბურჟუაზიული მეურნეობა კი იძულებულია თანდათან უნდა შეამციროს წარმოება, რადგან მას შემცირებული აქვს გასასაღებელი ბაზარი.

ჩვენი რაციონალიზაცია არის მიმართული შინაური ბაზრის დაკმაყოფილებისაკენ, ბურჟუაზიის კი საგარეო ბაზრის დაპყრობისაკენ. ჩვენ ახლო მომავალში დაგვჭირდება წარმოებაში ჩავაბათ ახალი მუშათა მასსები, — მაშინ, როდესაც ბურჟუაზიის რაციონალიზაცია იწვევს უმუშევრობას და მისგან გამოწვეულ სოციალურ ტკივილებს. ამის მაგალითებია დღევანდელი ინგლისი, გერმანია და სხვა სახელმწიფოები. უმუშევრობა, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაშიც არის, მაგრამ ის არის უმთავრესი მიზეზი

ჩვენი ქვეყნის სპეციალური პირობებით. ჩვენი უმუშევრები —ეს უმთავრესად გლეხკაცობის წრიდგან გამოსული მასსებია. ეს ხალხი გუშინ კიდევ სოფლის მცხოვრები იყო, მათ დღესაც სავსებით არ გაუწყვეტიათ სოფელთან და მის მეურნეობასთან კავშირი. უმუშევრობა ჩვენში შედეგია აგრარული მოუწესრიგებლობისა. ბურჟუაზიული ქვეყნების უმუშევრები კი წმინდა წყლის პროლეტარები არიან, რომლებიც წარმოებიდან იქნენ გამოდევნილი რაციონალიზაციის გატარების გამო.

პაციფისტური სოციალ - დემოკრატია კიდევ საერთაშორისო ომის დაწყების 1914 წ. კაუტსკის პირით შესაძლებლად მიაჩნდა კაპიტალისტების მორიგება საერთაშორისო სამრეწველო კარტელების დაარსების საშუალებით, რომელშიც ყველა ნაციონალურ ერთეულებს, ან ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, შეუძლიათ თავისი კაპიტალის სიძლიერის მიხედვით მიიღონ მონაწილეობა და მით ბაზრის საკითხი, როგორც ფაბრიკატების გასაღებაში, ისე ნედლეული მასალის შოვნაში უმტკივნეულოთ და უკონფლიქტოთ გადიჭრებაო... მაგრამ რამდენად უსუსური გამოდგა ეს უტოპიური პაციფიზმი ეხლა ყველასათვის აშკარაა, ვინაიდან საერთაშორისო ომი თავისი გამანადგურებელი შედეგებით, სწორედ იმიტომ მოხდა, რომ „ნაციონალურათ“ დარაზმულმა ბურჟუაზიამ სწორეთ **ბაზრის** საკითხში ვერ მონახა ურთიერთ შორის საერთო ენა.

პაციფისტური ბურჟუაზია იწვევს ეკონომიურ კონფერენციას, რომელსაც ის საერთაშორისო ეკონომიურ პარლამენტათ ნათლავს, სწორედ ისე, როგორც „ნაციათა ლიგა“ ითვლება საერთაშორისო პოლიტიკურ პარლამენტათ. მაგრამ, თუ ეკონომიური პარლამენტის პრაქტიკა ჯერ კიდევ არაა ნაცნობი ფართო მასებისთვის, ლიგას ხომ დღეს ყველა იცნობს? ეს ხომ მოქნილი იარაღია იმპერიალისტების ხელში. ის ხომ მოხერხებულად აჩქარებს პატარა ერების მიწასთან გასწორებას, პატარა სუსტი სახელმწიფოების ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესების ჩაგვრას. აბა დაგვისახელონ პაციფისტებმა, ერთა ლიგის მოღვაწეობაში თუნდაც ერთი ფაქტი, სადაც მას, ლიგას, გამოეჩინოს ინიციატივა, და გადამჭრელი ზომა მიეღოს ამა თუ იმ კონფლიქტის მოგვარების დროს?! მით უმეტეს, თუ ამ კონფლიქტში, დაინტერესებული იყო რომელიმე დიდი სახელმწიფო.

ამიტომაც ერთა ლიგის ტყუპი ძმა — ეკონომიური ლიგა, ვერავითარ, მოწესრიგებას ვერ შეიტანს, ბურჟუაზიულ სამყაროს ანარქიულ ეკონომიკაში. სრულიად წინააღმდეგ, საერთაშორისო კარტელების პროექტი, (ეს კარტელები ხომ, ეხლაც არიან, მაგალითად, საფრანგეთში, და გერმანიაში, ფოლადის ტრესტი, ფარმაცევტიულ წარმოებაში და სხვა მრავალი) კიდევ უფრო გააპატონებს მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებულ ტრესტებს. ისინი თავისი მონოპოლისტური ბუნებით ადვილად შესძლებენ ფასების უზომოთ გადიდებას თავის პროდუქციაზე. მეორე მხრივ, ისინი, სამრეწველო კარტელებათ დარაზმული და ჯგუფებათ ჩამოყალიბებული, ურთიერთ შორის მეტოქეობის ნიადაგზე შემდგარი, ყოველთვის მოამზადებენ ნიადაგს შეიარაღებული კონფლიქტებისათვის, ასე რომ ომების საფრთხე, სხვა ფაქტორებთა შორის კარტელების სისტემაშიც მაგრათ ზის და სწორედ ამიტომ იყო, რომ საბჭოთა დელეგაციამ ჟენევაში გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ, „საერთაშორისო სამრეწველო კარტელების შექმნა უეჭველად გაამწვავებს ბრძოლას მონოპოლისტურ ორგანიზაციებს შორის და გააღრმავებს წინააღმდეგობას მსოფლიოში გაბატონების მსურველ სახელმწიფოებს შორის. შეთანხმება მეურნეობის მშვიდობიან საერთაშორისო ორგანიზაციის შესახებ, შეუძლებელია მწარმოებელთა გაერთიანებისთვის — მისი განხორციელება შესაძლებელია, მხოლოდ იმ სახელმწიფოში, სადაც მეურნეობა მშრომელების ხელშიაო და სხვა“.

აი ასეთ პოზიციაზედ დაადგა საბჭოთა კავშირის დელეგაცია. მაგრამ ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ამ ორ სისტემას — ბურჟუაზიულს და საბჭოთა ეკონომიკას განსაზღვრულ პერიოდებში განსაზღვრულ მატერიალურ მიზნებისთვის. ეკონომიურ ფრონტზე თანამშრომლობა არ შეუძლიან. რასაკვირველია ეს თანამშრომლობა შესაძლოა. ამას ჩვენი დელეგაციაც აცხადებს. და ამ განცხადებას სულ ადვილათ იგებენ და მის პრაქტიკულ შინაარს აუასებენ ევროპისა და ამერიკის სამრეწველო და ფინანსიური წრეები.

სწორეთ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ, კონფერენციის შემათანხმებელ კომისიაში პრინციპიალურად მიღებული იქნა ის დებულება, რომ, **ორი სხვადასხვა სისტემის ეკონომიურ ერთეულებს შეუძლიათ სამეურნეო ფრონტზე, — ერთად თანამშრომლობათ.** ეს არის მორიგი გამარჯვება საბჭოთა კავშირებისა, როგორც ეკონომიურ ფრონტზე, ისე პოლიტიკურზე, რადგანაც ეკონომიკა პოლიტიკის შინაარსია. საბჭოთა მეურნეობის განმტკიცებამ ამ დათმობაზეც წაიყვანა საერთაშორისო ბურჟუაზია. ჯერ ეს გამარჯვებაც კმარა.

**ალ. ხელაძე.**

# ომი თუ მშვიდობიანობა

ევროპის რეაქციონურ-იმპერიალისტური სახელმწიფოები თავიდანვე გააფთრებულ კამპანიას ეწეოდენ საბჭოთ სოციალისტურ რესპუბლიკების წინააღმდეგ. ამ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბელადი—მეთაური და ყველაზე უფრო აქტიური—აგრესიული პოლიტიკის მატარებელი, ბრიტანეთის ბურჟუაზია და მისი კონსერვატიული მთავრობა შეიქნა. თავიდანვე ყველასათვის აშკარა იყო, რომ ბნელი კომბინაციებისა და ყალბი საბუთების წყალობით დაბადებული მთავრობა, პირველ შესაძლებლობისთანავე, მოიმარჯვებდა გალესილ მახვილს მუშათა კლასის მოძრაობისა და ამ მოძრაობის ხელმძღვანელ ქვეყნის—საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. სხვანაირად არც შეიძლებოდა,—იმპერიალიზმი თავის ბუნებას ვერ უღალატებდა.

დიდი სიფრთხილითა და ჯადოსნური მოქნილობით ხდებოდა ძალთა გადაჯგუფებ-გადმოჯგუფება და რევოლუციონურ მუშათა კლასზე შეტევის სამზადისი. ომის სამზადისს ბურჟუაზია ძველებურად მშვიდობიანობის მოციქულის ნიღაბქვეშ აწარმოებდა და ნამდვილი ზრახვების მისაჩქმალავად, ომის საშიშროების თავიდან ასაცილებელ „საგარანტიო პაკტზე“ გაჰყვიროდა.

რევოლიუციონურმა მუშათა კლასმა და მისმა მებაირახტრე—კომუნისტურმა პარტიებმა მშვენივრად იციოდენ, რომ კაპიტალისტურ წყობილების არსებობის პირობებში, განსაკუთრებით მის თანამედროვე იმპერიალისტურ ფაზაში, ახალი ომები აუცილებელია და, რომ ბურჟუაზიის ყიჟინი „საგარანტიო პაკტის“ დადების აუცილებლობის შესახებ წარმოადგენდა მხოლოდ მუშათა კლასის თვალის ახხვევს, მის რევოლიუციონურ ბრძოლის მოსადუნებელ მანევრს. კომუნისტურმა პარტიამ თავიდანვე გაარკვია, რომ დღევანდელ ევროპის მესვეურებს თავის ყოველგვარ პროექტებით საერთოდ და საგარანტიო ხელშეკრულების პროექტით კერძოდ, მივყევართ ომისაკენ და არა მშვიდობიანობისაკენ.

„როგორი კავშირებიც არ უნდა შეიქნეს, როგორიც ხელშეკრულებებიც არ უნდა დადვან იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა, თუნდაც მსოფლიო კავშირამდე, ყველაფერი, ეს იქნება მოჩვენებითი, დროებითი. იმპერიალისტურ სახელმწიფოთა კავშირები და ხელშეკრულებები მხოლოდ ახალი ომებისათვის ამზადებენ ნიადაგს“—ამბობდა ლენინი იმპერიალისტური სახელმწიფოების მშვიდობისმოყვარეობას. ეს მარქსისტისათვის საანბანო ჭეშმარიტებაა, მაგრამ არსებობს ქვეყნად ერთი ჯურის ხალხი, რომელიც ბურჟუაზიას მისჩანჩალებს კუდში და

ეს უკანასკნელი მიაჩნია ქვეყნის მარილად. ეს ხალხი მენშევიკი-პაციფისტები გახლავთ. ისინი დღესაც მარქსისტებად ასაღებენ თავს და ის კი სჯერათ, რომ კაპიტალისტურ წესწყობილების დროს შესაძლებელია მშვიდობიანობის უზრუნველყოფა და ისიც „საგარანტიო პაქტებით“.

ვის არ ახსოვს ამ ვაჟბატონების უსაზღვრო სიხარული და საპარლამენტო მისალოცი სიტყვები, როდესაც ეგრედ წოდებული „საგარანტიო პაქტი“ დაიდო და ანტანტამ გერმანია რკინის სალტეებში მოამწყვდია.

მეორე ინტერნაციონალმა „საგარანტიო პაქტ“-ში ქვეყნად მშვიდობიანობისა და სამოთხის დამკვიდრების დასაწყისი დაინახა, მაგრამ მისი აზრით, „საგარანტიო პაქტი“-ს მნიშვნელობას ასუსტებდა ის გარემოება, რომ ქვეყნად არსებობდა „ბოროტი ძალა“, რომელიც ხსენებულ ხელშეკრულებას მტრულად შეხვდა და რომელიც თითქოს აფერხებდა მშვიდობიანობის საქმეს. ეს „ბოროტი ძალა“ საბჭოთა კავშირი იყო და აკი ცოფმორეული პირიდან დორბლს ყრიდენ მაკდონალდ - შეიდემან - რენოდელები და ძმანი მათნი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

თუ რაღირებულებას წარმოადგენდა „საგარანტიო პაქტი“, ეს როგორც აღვნიშნეთ, მშვენივრად შეაფასა საკავშირო მუშათა კლასმა. მაგრამ უკანასკნელი ამბები, რომლებიც ევროპისა და აზიის კონტინენტებზე ვითარდებიან, ვფიქრობთ ბევრ ურწმუნო თომებსაც დაარწმუნებს, რომ „საგარნტიო პაქტ“-ში ომის ნემეზიდა შეაძვრინეს და სხვა არაფერი. როგორი მდგომარეობაა დღეს?

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა, — პირველ რიგში ინგლისის, დახმარებით სისხლში აღრჩობენ ჩინეთის ხალხის საუკეთესო შვილებს. გასულ დღეებში ინგლისის ფაშისტ - კონსერვატორების მთავრობამ მოაწყო თავდასხმა საბჭოთა კავშირის სავაჭრო ორგანოებზე და უტიფრად დაარღვია 1921 წელში ინგლის - საბჭოთა კავშირის შორის დადებული სავაჭრო ხელშეკრულება. ამ ამბებთან დაკავშირებით ამ დღეებში ადგილი ჰქონდა „მშვიდობიანობის მოციქულთა“ — ბრიან - ჩემბერლენის ისტორიულ დარბაზობას.

უკანასკნელად კი, მოწამენი ვართ ინგლის - საბჭოთა კავშირის სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტის.

ჩვენ არ გვაქვს ცნობა, თუ რით დამთავრდა ბრიან-ჩემბერლენის მიერ კულისებში ჩატარებული ვაჭრობა. არც ის ვიცით ჯერ - ჯერობით, თუ რით დამთავრდა და არც ის ვიცით ჯერ - ჯერობით, თუ რით დამთავრდება და რომელ საზღვრამდე განვითარდება ინგლის - საბჭოთა კავშირის შორის გამწვავებული მდგომარეობა. მაგრამ ის კი უდაოა, რომ მსოფლიო იმპერიალიზმი გააფთრებით ემზადება სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლისათვის.

ყველა ეს მანევრები, ყველა ეს აშკარა თუ ფარული ვაჭრობა და ბანდიტური თავდასხმები მიმართულია ახალი მსოფლიო ომისათვის.

რას შეეხება ამ დროს მე-2 ინტერნაციონალის მესვეურები?

ზოგი სდუმს და ზოგიც საპარლამენტო შეკითხვებით იქცევს თავს.

ყოველივე ზემოდ აღნიშნული უნდა გაითვალისწინოს მსოფლიო პროლეტარიატმა. მან არ უნდა დაივიწყოს ის, რომ პროლეტარიატისთვის მძიმე პირობებში, მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელები დაჩვეული არიან ღალატს და ისინი ვერც მომავალში უღალატებენ თავიანთ ბუნებას. მუშათა კლასი ეხლავე უნდა შეუდგეს მზადებას და დაირაზმოს კომუნისტურ პარტიების გარშემო რევოლიუციონურ დროშის ქვეშ. პირველი ლოზუნგი მუშათა კლასის იყო და იქნება მშვიდობიანობის უზრუნველყოფა, მაგრამ თუ ბურჟუაზია მაინც შესძლებს ომის კოცონის დანთებას, მუშათა კლასმა აქედან უნდა ემზადოს მსოფლიო იმპერიალისტურ ომის სამოქალაქო ომად გადაქცევისათვის, რათა კაპიტალიზმის ნანგრევებზე აღიმართოს რევოლიუციონური წითელი დროშა და მსოფლიოს გეგემონი მუშათა კლასი შეიქნეს.

ა. ჩაჩუა.

# საერთაშორისო მდგომარეობა

## (კვირეული მიმოხილვა)

ინგლისის კონსერვატიული მთავრობის ვერაგული პოლიტიკა და მისი მტრული განწყობილება საბჭოთა რუსეთის მიმართ ახალი ამბავი არ არის. მას აქვს თავისი სამარცხვინო ისტორია, რომლის ფურცლები სავსეა ინგლისის სისხლიან იმპერიალისტების მზაკვრული სულისკვეთებით. მაგრამ ასე აშკარათ არასოდეს არ გამოუმჟაღვნებიათ თავისი გულის ზრახვები ინგლისის მთავრობის დიპლომატებს. ისინი მუდამ ქურდულათ, ჯაშუშური მეთოდით „სქმიანობდენ“ საბჭოთა მთავრობის დასამხობათ, მაგრამ ყოველთვის უვარდებოდათ კოვზი ნაცარში.

საბჭოთა რუსეთის თვითეული გამარჯვება, როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ ფრონტზე ყუმბარასავით სკდებოდა ინგლისის კონსერვატიულ მთავრობის წრეებში; მიტომ დაჰკარგეს მათ წონასწორობა, გადავიდენ ნამდვილ შეტევაზე, რომლის შედეგია ახალ-ახალი პროვოკაციული თავდასხმა, მიმართული საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ინგლისის შუბლმაგარი ავანტიურისტები ყოველთვის ეძებდენ „საბუთს“ საბჭოთა რუსეთთან ნამდვილი საომარი განწყობილების შესაქმნელად. ამ „საბუთების ძიებასაც“ აქვს თავისი საკმაოდ გრძელი ისტორია, რომელიც დაიწყო „ზინოვიევის წერილიდან“ და დამთავრდა არკოსზე ყაჩაღური თავდასხმით. ბალდუინის განცხადებით, რომელიც მან გააკეთა თემთა პალატაში ეს „საბუთები“ აღმოჩენილია ლონდონში საბჭოთა ვაჭრობის წარმომადგენლობის შენობებში. ამ „აღმოჩენასთან“ დაკავშირებულ საკითხების გარშემო თემთა პალატაში ბოლდუინმა წარბშეუხრელათ განაცხადა: „ფარული აგენტები ცდილობდენ ხელში ჩაეგდოთ უაღრესათ საიდუმლო საბუთები ინგლისის შეიარაღებული ძალების შესახებ. აგენტები მუშაობდენ საბჭოთა მთავრობის დავალებით და ინსტრუქციებს იღებდენ საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაციისაგან—„სოვეტ-ხაუზში“. ამას წინათ დაიკარგა მეტად საიდუმლო დოკუმენტი. გამოირკვა, რომ ეს დოკუმენტი ინახება „„სოვეტ-ხაუზში“, რის გამო გაცემულ იქნა ორდერი გაჩხრეკის მოსახდენათ. შენობებში აღმოჩნდა კიდევ სხვა დოკუმენტები, რომლებიც საკმაოდ ცხადათ მოწმობენ, რომ რეგულიარულად ხდებოდა გამანადგურებელი ხასიათის ორგანიზაციული მუშაობა“ და სხვა. აი მთელი აღმოჩენილი „საბუთები“, რომელიც საბაბს აძლევს ინგლისის კონსერვატორებს დაარღვიონ საერთაშორისო მშვიდობიანობა.

რა ღირებულებისაა ეს „აღმოჩენილი საბუთები“, რამდენათ შეეფერება ბოლდუინის განცხადება სიმართლეს? არ ვიცით თუ, როგორი იქნება ამ კითხვებზე პასუხი თემთა პალატაში მსჯელობის შემდეგ, მაგრამ ჩვენთვის ეხლავ ცხადია ბოლდუინის განცხადების სრული სიყალბე: სიყალბის ერთი ფქტი კიდეც დადასტურდა თემთა პალატის სხდომაზე მუშათა პარტიის ერთ-ერთ დეპუტატის შეკითხვით: „ღმოჩენილ იქნა თუ არა ის დოკუმენტი, რომლის დაკარგვა გახდა თავდასხმის მიზეზი?“— „არა!“ —მორცხვათ უპასუხა ბოლდუინმა. მაგრამ კონსერვატიული მთავრობა ყოველივე ზომებს ღებულობს გაანაღდოს ეს „აღმოჩენილი“ ყალბი საბუთები, ამ მიზნით გამოსცა მან „თეთრი წიგნი, რომელიც შეიცავს 31 გვერდს და სათაურათ აქვს „დოკუმენტები“, რომელნიც ახასიათებენ რუსეთის მთავრობისა და მე-3 ინტერნაციონალის ინგლისისადმი მტრულ მოქმედებას. ერთი სიტყვით

წიგნი განგებ არის შეთხზული, მოყვანილი „დოკუმენტები“ შექმნილი და განზრახ გამოგონებულია. რა თქმა უნდა, თემთა პალატის წევრთა უმეტესობამ დაადასტურა ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირთან დიპლომატიურ ურთიერთობის შეწყვეტისა და სავაჭრო ხელშეკრულების გაუქმების შესახებ. ეს ეხლა უკვე ფაქტია. დიახ, ეს გადაწყვეტილება დაადასტურა ინგლისის პალატამ, საცა მოკალათებულია ინგლისის კონსერვატიული მთავრობის თანამოძმენი, მაგრამ ამას ვერ მიიღებს, ვერ შეურიგდება პალატის მუშათა ფრაქცია და საერთოდ ინგლისის მუშათა კლასი, რომლის წარმომადგენლები ასე მოუწოდებენ მუშებს: **„დაიწყო კონსერვატორების ახალი შეტევა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. დღეს ის იღებს დიპლომატიური და სავაჭრო ურთიერთობის შეწყვეტის სახეს; ხვალ, თუ მათ არავინ გაუწევს წინააღმდეგობას გადაიქცევა ომათ. ეს თავდასხმა გახდება რეაქციონერების თავდასხმათ, რაც შემდეგ გამოიწვევს ინგლის-საბჭოთა ომს. შეადგინეთ მოქმედების საბჭოები, ბოლო მოუღოთ ლიდერების საბოტაჟს! დავამხოთ კონსერვატიული მთავრობა“.**

ასეთია, საერთო განწყობილება ინგლისის მუშათა კლასის შექმნილ მდგომარეობის გამო და ამას თუ მიუმატებთ საბჭოთა კავშირის მრავალ მილიონიან დარაზმულ მუშათა კლასის რისხვას და ერთსულოვან პროტესტებს, ინგლსის ავანტიურისტულ მთავრობის თავდასხმის გამო. ჩვენთვის ნათელი იქნება წარმოდგენა იმ უნუგეშო მდგომარეობისა, რომელშიაც დღეს თუ ხვალ ჩავარდებიან ინგლისის იმპერიალისტები. ის თვისივე ხელითვე ითხრის სამარეს, თვითონ კისრულობს თავისი საკუთარი მესაფლავეთა როლის ასრულებას.

ბლოკადით იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მაშინაც კი ვერაფერი დააკლეს საბჭოთა სახელმწიფოს, როცა ის ახლად ფეხადგმული იყო, როცა როცა რუსეთში გაჩაღებული იყო სამოქალაქო ომი. სრულიად მოშლილი იყო ეკონომიური მექანიზმი; დღეს კი, თავის არსებობის 10 წლის თავზე, როცა ის მომაგრდა ეკონომიურად, აქვს მტკიცე სახელმწიფოებრივი აპარატი, საგუშაგოზე უდგას მრავალრიცხოვანი გაწვრთნილი და იდეიურად მებრძოლი წითელი ლაშქარი, რომელმაც იცის რისთვის იბრძვის, ვის ებრძვის, ვისა და რას იცავს. ასეთ პირობებში მყოფ საბჭოთა კავშირისათვის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს ინგლისის მთავრობის მუქარა მაგრამ მიუხედავათ ამისა საბჭოთა კავშირი ყოველგვარ ზომებს მიიღებს თავიდან ააშოროს ქვეყანას ომის საშიშროება. ამას ნათლად მოწმობს ის თავდაჭერილობა და მშვიდობიანი კილო, რომელსაც იჩენს ის ეხლაც ინგლისთან დიპლომატიურ ურთიერთობაში. საერთაშორისო მშვიდობიანობა, აი როგორია დღეს ლოზუნგი საბჭოთა მთავრობის და ვაი იმას ვინც ამ ლოზუნგის საპასუხოთ იარაღის აჟღარუნებას დააპირებს.

### ეკონომიური კონფერენცია

იმპერიალისტური სახელმწიფოები ერთის მხრივ თუ გრძნობენ სიძულვილს საბჭოთა მთავრობისადმი და ყოველ წუთს ელანდებათ მისი სიკვდილი, მეორეს მხრივ კარგათ იციან თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მათი აწეწილ-დაწეწილ სავაჭრო და საერთოდ ეკონომიურ მდგომარეობისათვის საბჭოთა რუსეთთან კავშირს. მათ კარგად იციან ფასი იმ ნედლი მასალის, რომელიც რუსეთის კავშირს მოეპოება. ამიტომ იქნა მოწვეული ეკონომიურ კონფერენციაზე.

დასრულდა ეს კონფერენცია ისევე უფერულად და უშინაარსოთ როგორც დაიწყო. არც ერთი მნიშვნელოვანი დადგენილება არ მიუღია მას მსოფლიოს ეკონომიურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არც ერთი დელეგატი, გარდა საბჭოთა კავშირის დელეგაციისა არ შეხებია საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია საერთაშორისო მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებასთან. ეს არც გასაკვირია, ვინაიდან იმპერიალისტური სახელმწიფოების წარმომადგენლებს არაფრათ სიამოვნობთ მუშათა კლასის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათი ბუნება მას არ ეგუება. ერთად-ერთი დელეგაცია, რომელსაც შექონდა კონფერენციის სხდომებზე სიცოცხლის ნიშან წყალი, ეს იყო საბჭოთა დელეგაცია, რომელსაც არ დაუტოვებია ეკონომიურ სფეროში არც ერთი საკითხი, რომელიც არ გაეშუქებიოს თავისი თვალსაზრისით. ეს ბურჟუაზიულმა გაზეთებმაც კი აღიარეს. საერთოდ საბჭოთა დელეგატების გამოსვლებს კონფერენციის სხდომებზე დიდის ინტერესებით ელოდენ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, საბჭოთა დელეგაციის წინადადებების უმეტესობა არამც თუ მიიღო კონფერენციამ, არც კი განუხილავთ.

ყველაზე უფრო ის არ მოსწონდათ იმპერიალისტურ სახელმწიფოების დლეგატებს, რომ საბჭოთა დელეგაცია არ ღებულობდა მონაწილეობას იმ საკითხების განხილვასა და მიღებაში, რომლებიც შეეხებოდა ერთა ლიგასა და მისი ორგანოების დავალებებს. ლიგის შესახებ ამხ. ოსინსკიმ განაცხადა: „ერთა ლიგაში ჩვენ არ შევდივართ და არც გვაქვს განზრახვა შევიდეთ. ერთა ლიგა დღეს მშვიდობიანობის იარაღი კი არ არის, პირიქით იგი არის შირმა, რომელიც ფარავს ძალადობას სუსტი ერების მიმართ“.

მიუხედავათ ამისა, საბჭოთა კავშირისათვის მაინც ქონდა თავის მნიშვნელობა ჟენევის ეკონომიურ კონფერენციას: გაიგო ყველამ თუ, როგორი საღია საბჭოთა ეკონომიკის პოლიტიკა და მეთოდები თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას აღორძინების საქმეში, თუ რა განსხვავებაა საბჭოთა ეკონომიურ პოლიტკასა და კაპიტალისტურ სახელმწიფოების პოლიტიკას შორის, რომ პირველის მიზანია მუშ. კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება, ხოლო მეორესი კაპიტალისტების ჯიბეების გასქელება. ყველამ ნათლად დაინახა სოციალისტური სისტემის დიდი უპირატესობა ეკონომიურათ დაავადებულ ქვეყნების მკვიდრ სამეურნეო ნიადაგზე დასაყენებლათ.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლიუციებზე ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ფორმულა „ყველა ქვეყნების მშვიდობიანი არსებობის შესახებ, მიუხედავათ მათი ეკონომიური სისტემის სხვადასხვაობისა. ერთა მშვიდობიანობა ეკონომიურ თანამშრომლობის საუკეთესო სიპტომათ აღიარა ჟენევის ეკონომიურმა კონფერენციამ. მაგრამ შეიგნებენ კი ამას ბოლდუინ-ჩემბერლენები?

### მდგომარეობა ჩინეთში

ჩინეთის რევოლიუციონური მოძრაობა დღითი-დღე მაგრდება და ძლიერდება. იზრდება რევოლიუციონური ლაშქარი გლეხთა ახალ-ახალი რაზმებით, ჩან-კაი-შის გავლენა ეცემა, ჩინეთის ხალხი რწმუნდება, რომ ის ხალხის მოღალატეა და არა ეროვნული გმირი, როგორც ეს პირველ ხანებში ეგონათ. უკანასკნელად მეტად შესუსტდა ჩან-კაი-შის სამხედრო „ძლიერებაც“, რაც აიხსნება მისი ჯარების სრული დეზორგანიზაციით და აგრეთვე სრული ფინანსიური კრახით. რევოლიუციონურ ჯარის (უხანის) უკანასკნელმა გამარჯვებამ ჩრდილოეთის ფრონტზე ხენანის პროვინციაში ხომ სულ დაუბნია გზა და კვალი ჩან-კაიშელებს. ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ თავზარი დასცა მუკდენის ჯარებს, რომლებიც გარბიან ჩრდილოეთით ლუნხაის რკინის გზებისკენ. უკანასკნელათ მიღებული ცნობებით მუკდენის თავდაცვის ხაზი სრულიად განადგურებულია ასი მილის მანძილზე, უხანის ჯარებს ხელთ უგდიათ დიდძალი ტყვე და აუარებელი სამხედრო მასალა. უხანის ჯარები შეტევაზე გადასულან მუკდენელების წინააღმდეგ აგრეთვე სიპინისა და ხოშუს რაიონებში. სამი დღის ბრძოლის შემდეგ მათ დაიკავეს ეს რაიონი ხაუნხეს მიდამოებამდე. მუკდენელები გარბიან. სრულიად განადგურებულია მათი კორპუსების რაოდენიმე ათი ათასი კაცი. ასე რომ, რევოლიუციონურ ჯარებს პეკინისაკენ თანდათან ეხსნებათ გზები. გვეეჭვება, რომ პეკინის მიმართულებით რაიმე სერიოზული წინააღმდეგობის გაწევა შესძლოს ჩან-ძო-ლინმა. მიუხედავათ იმისა, რომ ის

ცდილობს ახალ-ახალი სამხედრო ძალების შეკრებას და ემზადება პეკინის რაიონში შესატევათ.

გარდა ამისა ალსანიშნავია რევოლიუციონურ ჯარების გამარჯვება, რომელიც იბრძოდა ორ წყებათ: პირველ წყებას აულია მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქი ჩენ-ჯოუ, ხოლო მეორეს იენ-ჩოუ, ეს გამარჯვება შეერთების საშუალებას აძლევს ორივე მხარეს.

ჩინეთის რევოლიუციის უკანასკნელ პერიოდში ალსანიშნავია აგრეთვე გლეხთა მოძრაობა უმეტესათ აგრარულ ნიადაგზე. აჯნყებული გლეხები ანადგურებენ მემამულეებს: ამაჟამათ აჯანყებულ გლეხების ხელშია მეტად დიდი ნაწილი, სვატოუს რაიონისა. კანტონის მთავრობა ენერგიულ ზომებს ილებს აჯანყებულ გლეხების დასაწყნარებლათ, მაგრამ გლეხებში მაინც დღითი-დღე ძლიერდება მღელვარება და იზრდება რევოლიუციონურ ბრძოლის სურვილი. განსაკუთრებით ალსანიშნავია განდუნის გლეხობის თავდადებული ბრძოლა, რომელიც მეტათ უწყობს ხელს უხანის მთავრობას.

მაგრამ თუ ფრონტებზე ბედი არ წყალობს ჩან-კაი-შიჩან-ძო-ლინს, სამაგიეროთ ისინი ცდილობენ რეპრესიების საშუალებით შიგნით ჩაახრჩონ რევოლიუციონერები: რეიტერის სააგენტოს ცნობით, ტიან-ძინში სწარმოებს კომუნისტ-გომინდანელების სასტკი დევნა.

**მიმომხილველი.**

# კაპიტალისტური ქვეყნების დავალიანება და მისი შედეგები

II.

დანარჩენ ქვეყნებთა შორის დიდი ბრიტანეთი, როგორც კრედიტორი, პირველ ადგილზე სდგას. მართალია, ომის განმავლობაში ფინანსიური სიძლიერე შეერთებულ შტატებს დაუთმო, მაგრამ ჯერჯერობით ინგლისი უდიდეს და უძლიერეს ეკონომიურ ფაქტორს წარმოადგენს. კოლონიები და დომინიონები მთელი თავისი ნივთიერი რესურსებით დიდი ბრიტანეთის კუნძულების საწველი ფურია, რაც ცხადია, სამეურნეო სფეროში ინგლისის კაპიტალს დიდ უპირატესობას უქმნის.

იმპერიალისტურ ომიდან დიდი ბრიტანეთი გამოვიდა როგორც დებიტორი (შეერთებული შტატების ვალით) ისე კრედიტორი. ინგლისის მიერ გაცემული სესხი იმავე ნიადაგზე და იმავე მიზეზებით წარმოიშვა, როგორც შეერთებული შტატების, რომლის ოფიციალურათ ომში ჩარევამდე ანტანტის ქვეყნებს (საფრანგეთი, რუსეთი), და ბელგიის ბანკირი ლონდონის სიტი იყო. ფორმალურ საფუძვლათ დიდი ბრიტანეთსადმი დავალიანებას დაედვა ბულონისა და ლონდონის შეთანხმებები 1915 წელში, რომლის მიხედვით, საგარანტიოთ რუსეთმა, საფრანგეთმა და იტალიამ თავიანთი ოქროს დეპო ინგლისის ბანკში გადაიტანეს.

როგორც უკვე ალვნიშნეთ, ვალები წარმოიშვა ომის საჭიროების ნიადაგზე. ვალების ამლებათ გამოვიდა არა მარტო ანტანტა, არამედ ინგლისის დომინიონები და კოლონიებიც, რომელმაც ომის საჭიროების დასაფარავად ბრიტანეთის სალაროს მიმართეს.

დიდი ბრიტანეთის მიერ გაცემული იქნა სამი სხვადა სხვა კატეგორიის სესხი.

1. კრედიტები საომარი მასალებისათვის.

2. კრედიტები ომით დაზარალებული მიდამოების ალსადგენათ

3. ხარჯები სამხედრო ტყვეების სამშობლოში დასაბრუნებლათ. (რეპატრიაცა).

წინა წერილში („ახალი გზა“, № 18) ჩვენ დავინახეთ, რომ შეერთებული შტატების წინაშე ინგლისი უდიდესი დებიტორთაგანია. მისი ვალი უდრის 4,6 მილაირდ დოლარს. ეს თანხა შემდგარია ყველა იმ ავანსებისაგან, რომელიც ინგლისმა მიიღო შეერთებული შტატებისაგან. ამავე ნიადაგზე ამერიკის სესხის მიღებამდე ინგლისს გაცემული ქონდა მოკავშირეთადმი უკვე საგრძნობლათ დიდი სესხი. 1925 წლის 1 აპრილისათვის ინგლისის მიერ გაცემული საომარი სესხის რაოდენობა უკვე გასული წლების სარგებელის დართვით უდრიდა 2.062 მილიონ გირვანქა სტერლინგს. (10,12 მილიარდი დოლარი).

1926 წლის 31 მარტს, საფინანსო უწყების გამოანგარიშებით, რომელიც სახელმწიფოებთან წინასწარ შეთანხმებას ეყრდნობოდა, მოკავშირეთადმი მიცემული სესხი უდრიდა:

| | სამხედრო კრედიტი | ფინანსიური ვალები | ალდგენის კრედიტი | რეპარტიაცია | სხვადასხვა კრედიტები | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი . . . . | 647.106 | — | — | — | — | 647.106 |
| იტალია . . . . | 274.750 | — | — | — | — | 274.750 |
| ბელგია . . . . . | — | — | 9000 | — | — | 9.000 |
| პორტუგალია . . . | 23.733 | — | — | — | — | 23.733 |
| ჩეხოსლოვაკია . . . | — | 464 | — | 827 | — | 1.241 |
| ავსტრია . . . . | — | 11.887 | — | — | — | 11.187 |
| ჰუნგრეთი . . . . | — | 87 | — | — | — | 87 |
| რუმინეთი . . . . | 31.250 | 2.200 | — | 36 | — | 33.486 |
| სამხრეთსლავია . . | 31.400 | 2.533 | — | 187 | — | 34.120 |
| საბერძნეთი . . . | 21.167 | — | — | — | 108 | 21.275 |
| პოლონეთი . . . | — | 4.770 | — | 153 | — | 4.923 |
| ლიტვა . . . . . | — | — | — | 348 | — | 348 |
| ლატვია . . . . . | — | — | — | 130 | 1.173 | 1.303 |
| ესტონეთი . . . . | — | 248 | — | — | 917 | 1.165 |
| ყოფ. რუსეთი . . . | 794.505 | — | — | — | — | 794.505 |
| ბელგიის კონგო . . | — | — | 3.600 | — | — | 3.600 |
| სომხეთი . . . . | — | 118 | — | — | 953 | 1.671 |
| ს უ ლ . . | 1.823.911 | 22.307 | 12.600 | 1.681 | 3.151 | 1.863.650 |

აღნიშნული რიცხვები აღნიშნავს 1.000 გირ. სტერლინგს. აშკარაა, რომ საომარი კრედიტები უპირველეს ადგილზე სდგას. დავალიანებულ სახელმწიფოთა შორის უდიდესი თანხები მიღებული აქვს ძველი რუსეთის მთავრობასაც, რომელიც უდრის 794.505 ათასი გირ. სტერლინგს, საფრანგეთს—647.106 ათასი გირ., იტალიას—274.750 ათასი გ. სტერლ. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბელგიისადმი მიცემული თანხები მოყვანილ ცხრილში არ არის აღნიშნული, ვინაიდან ბელგიის ვალი გადაწერილია სარეპარაციო თანხებზე, რომელსაც იხდის გერმანეთი წინასწარ გაწესრიგებული ანუიტეტების მიხედვით.

1926 წლის 31 მარტს დომინიონებისა და კოლონიების ვალს შემდეგი სახე ჰქონდა:

(ათასი გირ. სტერლინგი). 1) ავსტრალია—86.865,9 2) ახალი ზელანდა—28.347,9, 3) ფიჯის კუნძულები—210,1, 4) სამხრეთი აფრიკა—11.884,0, 5) ბრიტანეთის სამხ. აფრიკა—, 6) ბელგიის კონკო. 3.600,0, 7) ნეიფუნდლანდ—400,0 8) კანადა—, 9) ბრიტანეთის გვიანა—66,1 10) იამაიკა—464,1, და 11) ტრინიდად—1.071,0. სულ—132.909,1

ამრიგათ ინგლისის მიერ ომის დროს და ომის შემდეგ გაცემული ვალები მთლიანად უდრის 1.996.559,1 ათას გირვ. სტერლინგს, ანუ 19,9 მილიარდ მანეთს.

ვალების გასაწესრიგებელი მოლაპარაკება სხვადასხვა სახელმწიფოებთან ინგლისმა დაიწყო 1924 წლის გაზაფხულზე. ვალის გადახდის ვადა განსაზღვრულია 63,62 30 და 10 წლით. წლიური სარგებელი დაწესებულია 3 ნახევარი—5 პროცენტამდე.

შეთანხმებების მიხედვით ინგლისმა უნდა მიიღოს ათეული წლებში შემდეგი თანხები:

| | 1930 წ. | 1940 წ. | 1950 წ. | 1960 წ. | 1970 წ. | 1980 წ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთიდგან . . . . . . . . | 16.621 | 18.301 | 18.551 | 19.018 | 19.268 | 19.268 |
| იტალია „ . . . . . . . . | 18.116 | 18.326 | 18.551 | 19.018 | 19.268 | 19.268 |
| რუმინია „ . . . . . . . . | 18.244 | 18.326 | 18.551 | 19.018 | 19.268 | 19.268 |
| პორტუგალია „ . . . . . . . . | 18.234 | 18.326 | 18.551 | 19.018 | 19.268 | 19.268 |
| ბელგია „ . . . . . . . . | 18.259 | 18.326 | 18.551 | 19.018 | 19.268 | 19.266 |
| ბელგიის კონგო . . . . . . . . | 18.248 | 18.551 | 17.596 | 19.018 | 19.268 | 19.268 |
| ლატვია „ . . . . . . . . | 18.251 | 18.551 | 17.516 | 19.268 | 19.268 | 19.268 |
| ლიტვა „ . . . . . . . . | 18.251 | 18.551 | 19.018 | 19.268 | 19.268 | 19.260 |
| საბერძნეთი „ . . . . . . . . | 18.301 | 18.551 | 19.018 | 19.268 | 19.268 | — |

დიდი ბრიტანეთის მიერ გაცემულ ვალებს წინ უდგას მის მიერ აღებული სესხები, რომლის 87,67 პროცენტს შეერთებული შტატების ვალები შეადგენს. უცხოეთის ვალად ითვლება აგრეთვე საგარანტიო ოქროს დეპო, მოკავშირეების მიერ ინგლისზე გადაცემული. თუ ჩვენ ეხლა ბრიტანეთის დავალიანებას მის მიერ გაცემულ სესხებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ბალანსი აქტიური იქნება და, მაშინაც კი როდესაც ყოფილი რუსეთის სესხი 7,9 მილიარდი მანეთი გამოაკლდება, ვინაიდან მთლიანი ინგლისის ვალი უდრის 11,3 მილიარდ მანეთს. აქედან ცხადია, რომ ინგლისის ფინანსიური მდგომარეობა ამერიკის შემდეგ უძლიერესია. ლონდონის სიტის კლანჭებში ისევეა გახვეული მთელი მსოფლიო, როგორც „იანკეეს“.

**ივ. ნარხია.**

# რეაქციის მორიგი შემოტევა

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში კაპიტალისტურმა ევროპამ გარკვეულ შეტევაზედ გადავიდა მუშათა კლასის წინააღმდეგ.

უკანასკნელი-კი თითქმის ყველა ქვეყნებში იძულებულია თავდაცვითი ბრძოლა აწარმოოს ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

კაპიტალიზმის შეტევა სწარმოებს პირველ ყოვლისა პოლიტიკური ხაზით, და მან, უნდა ითქვას, ამ სფეროში მიაღწია ზოგად შედეგებს—მუშათა კლასმა დაჰკარგა არა ერთი პოზიციები მის მიერ ბრძოლით მოპოებული.

ეგრედწოდებული „ევროპის“ ბურჟუაზიული „დემოკრატია“ როგორც ვიცით ფიქციაა და მას არავითარი სურვილი არ შესწევს იბრძოლოს მუშათა კლასის მიერ მოპოებულ თავისუფლებების შესანარჩუნებლათ—მით უმეტეს არ შესწევს მას ძალა ამისათვის.

ინგლისის უკანასკნელი ამბები ამას ნათლად ამტკიცებს.

იტალიის ფაშიზმი საგრძნობლად გაიზარდა თითქმის ყველა დასავლეთ სახელმწიფოებში, მისი აქციები დიდათ აიწია...

საერთაშორისო რეაქცია მას ებლაუჭება, როგორც მხსნელ გემს იმ აზვირთებულ ზღვაში, რომელსაც უკანასკნელი რევოლიუციონურ - განმანთავისუფლებელ მუშათა კლასის და ჩაგრულ კოლონიალურ ერების მოძრაობა ეწოდება სახელათ..

„გამხრწნელი ბოლშევიზმის“ საფრთხეა ის „საფუძველი“, რომელიც მიაქანებს კაპიტალიზმის მაგნატებს შეტევისაკენ, მან კარგათ იცის თუ რას უქადის მას მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა.

ბურჟუაზიული სამყარო ჩაფლულია იმ გამოუვალ წინააღმდეგობათა ლაფში, რომლიდგანაც კაცობრიობა შეუძლია გამოიყენოს მხოლოდ მუშათა კლასის გამარჯვებამ.

ტყუილად-კი არ ირაზმება საერთაშორისო კაპიტალისტური რეაქცია;

მას უნდა სისხლის მორევში ჩაახრჩოს მუშათა კლასი.

ამრიგათ ჩვენთვის ახალი არ არის ბურჟუაზიის მთელი რიგი პროვოკაციულ-მუხანათური გამოსვლებისა, როგორც თავისი ქვეყნის მუშათა კლასის, აგრეთვე მსოფლიო მუშათა კლასის განმანთავისუფლებელ მოძრაობის ციტადელი, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ომი, რომელსაც ყოველთვის მიმართავს ბურჟუაზია თავისი შინაურ და საგარეო გართულებისას მოსალოდნელი ხდება.. მისი საფრთხე დღითი დღე იზრდება...

მას დაავიწყდა ის საშინელებანი, რომელიც ომმა თავს მოახვია კაცობრიობას და ის ამ გზისაკენ მიაქანებს ხომალდს ამჟამათაც.

მე-II ინტერნაციონალი ამ საფრთხის წინააღმდეგ მხოლოდ კაბინეტურ რეზოლიუციებით კმაყოფილდება და განა რა გასაკვირია? მან კარგა ხანია, რაც მუშათა კლასის იდეური და პოლიტიკური გავლენა დაჰკარგა.

დეპეშებმა მოგვიტანა ცნობა, რომ ინგლისის მთავრობას გადაუწყვეტია გააუქმოს საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულება და აგრეთვე გაიწვიოს თავისი სავაჭრო და დიპლომატიური წარმომადგენლობა მოსკოვიდგან.

ეს აქტი ნიშნავს პირველ ნაბიჯს ომის საფრთხისას.

რა შედეგი მოჰყვება მას? ეს მომავლის საკითხია. ჩვენ ვერ ვიწინასწარმეტყველებთ ამაზე, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, ერთი-კი უდაოა: მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ დავამტკიცეთ ჩვენი მშვიდობიანობის პოლიტიკა, მიუხედავად განუსაზღვრელი მოთმინებისა, ჩვენ ამჟამად გვმართებს მეტი სიფრთხილე, მეტი ნებისყოფა და სიმტკიცე და რწმენა ჩვენი მომავლისადმი. გაასკეცებული ენერგიით უნდა შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები და თუ მაინც და მაინც თავს დაგვესხმიან, მტერს—დავხვდეთ „ომში, როგორც ომში“...

**ნ. გიორგაძე.**

# მიყვარს ქალაქი

და ნაზი სიო აცელქებს თრთოლას.
მიყვარს თვით ყოფნის აურზაური.
მიყვარს მიდამო, როცა ქარხნები
გამონალევიძი, ანახმაური.
მიყვარს სი...ოცხლე, გამკრთალის ძილით,
დილით რომ ადრე წამოიშლება
მიყვარს ქალაქის მუშათ უბანი—
და მზე სხივებით ჩაჰკოცნის ქუჩებს.
მიყვარს ქუჩებიც, გარიჟრაჟ დილით
როცა მზე მთვარეს სხივებს უხუნებს
მიყვარს ქალაქი, როცა უკუნეთს
ააგუგუნებს საყვირთა ტუჩებს,
როცა მოიხსნის შავ თექას მთები
დილის რიჟრაჟი დაუწყებს ბრძოლას,
და საყვირების გუგუნი, ბანი
შრომისკენ იწვევს, ეპატრონება.
მიყვარს ქარხანა, საცა ფოლადი
გრდემლზე იხრება და ილუნება,
მიყვარს ქვეყანა მხნე და გულადი
და მეამბოხე სული, ბუნება...
მაგრამ... მძულს მთელი მიდამო-არე—
უზრუნველობის თუ აძევს დალი,
მძულს სხივ გამქრალი თვით მზე და მთვარე—
მწუხრით, უკუნით გადანადალი.

**ლ. დარჩია.**

# ყოფ. ახალგაზრდა მარქსისტთა განყოფილება

## უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების გარშემო*)

უნივერსიტეტში შესასვლელად დაწესებული გამოცდები სადავო საქმეთ გამოცხადდება. ამის შესახებ ჩვენს პრესაში ჯერ-ჯერობით ორი აზრი გამოირკვა ერთმანეთის საწინააღმდეგო (იხ. კ. სულაქველიძის წერილი გაზ. „„კომუნისტი“, № 88-1843 და გ. მეგრელიშვილის „ახ. კომუნისტი“ № 32-239). ეს საკითხი პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი კულტურის დღევანდელ ვითარებასთან და შეუძლებელია არ მიექცეს მას საჭირო ყურადღება.

აქვე ვიტყვით, რომ საკითხი საუნივერსიტეტო გამოცდების შესახებ იმდენათ მტკივნეული და მოუგვარებელი კითხვაა ჩვენს დროში, რომ იგი შეუწყნარებელია, რადგან ამ გამოცდამ გარდა მრავალნაირი ზარალისა და სასოწარკვეთილებისა ვერაფერი ვერ შესძინა ჩვენს თაობას. ეს ზარალი შეუძლებელია გათვალისწინებული იქნეს დღეს მარტო ეკონომიური თვალსაზრისით, როგორც ამას ამხ. სულაქველიძე სწერდა. იგი შესწავლილი უნდა იქნეს აგრეთვე გონებრივის, ფსიქო-მორალურის და პოლიტიკურის თვალსაზრისითაც.

ვფიქრობთ, რომ წარმოებულმა დისკუსიამ გამოცდის საკითხში უნდა გადაჭრას ორი მომენტი: ა) ჩვენი ახალგაზრდობა უნდა იხსნას **მრავალნაირ** ზარალისაგან და ბ) იმ თავითვე უნდა განსაზღვროს უნივერსიტეტსა და უფლება აყრილ საშუალო სასწავლებლებს შორის დამოკიდებულების ხასიათი მით, რომ ამ უკანასკნელს უნდა დაუბრუნოს დაკარგული ელემენტარული, აუცილებელი უფლება.

გავითვალისწინოთ ერთიც და მეორეც.

პირველზე ამხ. სულაქველიძე სწერდა:—„უნ“-ში შესასვლელათ დაწესებული გამოცდები ხალხის დოვლათის ყოვლად გაუმართლებელი ხარჯვაა და სხვა არაფერი“-ო. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს „გაუმართლებელი ხარჯვის“ მხოლოთ უმნიშვნელო ნაწილია. აქ მთავარია ის, რომ „უნ“-ში მიღების ასეთი წესი გარდა იმისა, რომ იგი ხალხის დოვლათს იწირავს და არც ჩვენს ნივთიერ შესაძლებლობას ეთანხმება, იგი აგრეთვე ჩვენი თაობის გონებრივ-ზნეობრივი და პოლიტიკური კეთილდღეობის ყოვლათ გაუმართლებელი მოპყრობაა საერთოდ.

ახალგაზრდა, რომელმაც პროვინციაში დაამთავრა ცხრაწლედი, რომელმაც კარგად იცოდა თავისი „სიმწიფის მოწმობის“ მნიშვნელობა, ქალაქში განაგრძო მეცედინეობა და, როცა გამოცდაზე ჩაიჭრა, მომავალზე გული აუცრუვდა, ქუჩას დაუმეგობრდა, წიგნს ხელი გაუშვა და შიმშილობას გემო გაუცნო, რასაკვირველია, ასეთმა ახალგაზრდამ ხელისუფლების სიყვარულიც დაკარგა და ევროპისკენ ცქერასაც უფრო მოუხშირა. ყველა დაგვეთანხმება, რომ შარშანდელ გამოცდაზე ჩაჭრილების დიდი უმრავლესობა ასე მოიქცა და ასეთი ქცევის პროცესი გრძელდება დღესაც.

ეხლა მე ასე ვსვამ კითხვას:—ვისთვინაა საჭირო მოწაფის ასეთი ცოდნით გამოშვება ცხრაწლედიდან, ან თუ უშვებენ მერე რა უფლებით ღუპავენ მას? ახალგაზრდას, რომელსაც „მოწმობას“ აძლევ და გამოცდაზე უხმობ—უფლება აქვს როგორი ცოდნის არ უნდა იყოს ის—გამოცხადდეს, თუნდაც გაყიდოს უკანასკნელი სოოჯახო ნივთებიც კი. და ყოველი ეს მაშინ, როცა წინასწარ კარგად ვიცით, რომ გამოცდაზე მოსულებიდან მხოლოთ 25—30 პროცენტი უნდა იქნეს მიღებული. აქაა ამ გამოცდის მთელი უკუღმართობა. და მერე როგორია ეს გამოცდები? მართლაც არკვევს იგი მოწაფის ცოდნის კოეფიციენტს? ჩვენ ვერავინ დაგვარწმუნებს იმაში, რომ პროფესორმა, რომელსაც თავის დღეში არ უნახავს გამოსაცდელი მოწაფე და არც მისი ცოდნის შესახებ სმენია რაიმე—ორი თუ სამი შეკითხვით გაიგოს მისი ცოდნის ნამდვილი დონე. ამის სწორი გაგება მხოლოდ ცხრაწლედს შეუძლია, რომელიც წლობით და მრავალწლობითაც იცნობს თავის მოწაფეს და მის გონებრივ სალაროს. ამიტომ ამ საქმეში საჭიროა სიმაღლეზედ დაყენებულ ცხრაწლედის კარგად ნაცნობ მასწავლებელთა **სერიოზული** ხელი.

რას წარმოადგენს დღეს ცხრაწლედი? იგია დღეს უბ-

*) ვბეჭდავთ სადისკუსიოთ.

**რედ.**

რალო დისტანცია, რომლის გავლის შემდეგ მოწაფეს შეუძლია დაიწყოს შორეული ოცნება „უნ“-ში შესვლაზე, მხოლოდ ოცნება. გამოდის რომ ცხრაწლედი დღეს სრულიად უპასუხისმგებლოა უნ“-ის წინაშე და ვის შეუძლია უარჰყოს ის ფაქტი, რომ „უნ“-ში გამოცდაზე მოწაფეს ეკითხებოდენ იმაზე, რაზედაც მას ცხრაწლედში არაფერი სმენია.

ამიტომ საკითხი შეიძლება დაისვას ასეც:—„რა უფლება გვაქვს მოწაფეს „უნ“-ში შემოსასვლელ გამოცდაზე მოვითხოვოთ ის, რაც მისთვის ცხრაწლედში არ მიგვიცია?! ეს ხომ აშკარა მოტყუებაა?

ვამბობთ, დღესვეა საჭირო ამ ყოვლად გაუმართლებელ ჭირს სამუდამოთ მოეღოს ბოლო, ცხრაწლედი გადაიქცეს პასუხისგებელ მეცნიერების ტაძრად და მანვე გადასწყვიტოს კარგათ ნაცნობი მოწაფის საუნივერსიტეტო ბედი. მაშინ „რამოდენიმე ათასი ახალგაზრდა“ კი ვერ დაამთავრებს ყოველწლიურათ საშუალოს, არამედ ის ვინც ნამდვილათ ღირსი იქნება. **ამ ღირსეულებიდან კი მუშურ-გლეხური უნივერსტეტი სოციალური შერჩევის საფუძველზე შექნის უფრო ღირსეულ კადრს.**

ამხ. მეგრელიშვილ სწერს:—„რა გინდ გამოცდები არ მოაწყოთ თქვენ ადგილებზე, მათი აკადემიური დონე სასურველი და სახეირო მაინც ვერ იქნება უნივერსიტეტისათვის“-ო. ეს აბსოლიუტური უაზრობაა. ჩვენ ვამბობთ, რომ ვიდრე მოწაფის ცოდნა „სახეირო და სასურველ“ დონეზე არ ასულა ცხრაწლედში, მანამ ის არ უნდა იქნეს მოცილებული საშუალო სასწ. კედლებს, რომ თვითონ ცხრაწლედიც უნდა დადგეს ასეთ დონეზე.

ამხ. მექვაბიშვილი (გაზ. „კომუნისტი“ № 63) სწერს:—„გამოცდების შესახებ უბრალოთ შეწუხებულია ამხ. გოგუა, რადგან თურმე ჩაჭრილი ახალგაზრდობა ქუჩას უმეგობრდება და შიმშილობს. პირველი **მცირე ხაბაბია** იმისათვის, რომ მართლაც ქუჩას დაუმეგობრდე და სულ უქმათ იწყო ხეტიალი“-ო.

რომ მართლაც მარტო ასეთი „დამეგობრებით და უქმი ხეტიალით“ ამოიწურებოდეს ამ გამოცდებით გამოწვეული ზარალი, მაშინ ვინ ოხერი სჩივის. საქმე იმაშია, რომ აქ თავს იყრის უფრო სერიოზული ზარალიც:—ცხრაწლედის პრიორიტეტის ასეთი გამასხარავება, მოწაფეთა საგამოცდო ფულების ტყვილი გაფლანგვა და ახალგაზრდებში საღი პოლიტიკური ზნეობრივი და გონებრივი დონის დაქვეითებამ... არა გვგონია, რომ მარტო „უქმათ ხეტიალობა“ გვიწყალობოს. და ყველა ამას, რომ თავი დავანებოთ განა ამ **„მცირე ხაბაბის“** ძირშივე მოსპობა არაა საჭირო და უფრო მომგები?! მაგ., განათლების კომისარიატს დაუდგენია მომავალში რუსულ ენაშიაც იქნას გამოცდები. ქართველი სტუდენტი ურუსულოთ არ ვარგა, მაგრამ გაცილებით უკეთესია—მან ეს ენა ცხრაწლედში შეისწავლოს ისე, რომ უნ-ში გამოდგეს და არა მისი დამთავრების შემდეგ—ხეტიალში ეძიოს საშუალება მის შესწავლისათვის. მაშინ ცხრაწლედი რაღაა? თუ ყველაფერი ეს ასე მოხდება. მაშინ „აუარებელი ახალგაზრდა“ ტფილისს ვერ მოაწყდება, მაშინ „აუარებელი ახალგაზრდა“ ზნეობრივათ არ გაიხრწნება. მაშინ ეს ხალხი წიგნს ხელიდან ველად გააგდებს და ვერც ევროპისაკენ დაიწყებს მზერას და ოცნებას. მაშინ არც ხელისუფლება დაითვლის უსაქმურ და უცოდინარ ახალგაზრდობას უმუშევართა რიგებში. ყველა ამას კი კულტურულ მნიშვნელობასთან ერთად აქვს უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა.

საჭიროა ცხრაწლედმა **ღირსეულ** მოწაფეს მისცეს **ღირსეული** სიმწიფის მოწმობა. საჭიროა ცხრაწლედიც სკოლას დაემსგავსოს და არა მოწაფეთა უბრალო სარეგისტრაციო დაწესებულებას.

**შოთა გოგუა.**

# ჩვენი გზა

პოლიტიკურ გაოფხიზლების პროცესმა ფართო ხასიათი მიიღო ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტთა შორისაც. საქ. მენშევიკური პარტიის, როგორც მასიური პოლიტიკური პარტიის, ლიკვიდაციის შემდეგ, ხდება საბოლოო ლიკვიდაცია საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებისაც. ეს ბუნებრივიც არის.

მენშევიკური პარტიის დაშლას და ამ პარტიის საუკეთესო, რევოლიუციონური კლემენტების საბჭოთა პლატფორმაზე დადგომას, ლოღიკური აუცილებლობით უნდა გამოეწვია ამდაგვარი პროცესი ყოფ. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციებსაც. როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, ყოფ. ახ. მარქსისტთა ორგანიზაცია წარმოადგენდა არა დამოუკიდებელ ორგანიზაციას, არამედ მენშევიკური პარტიის უბრალო დამატებას და ეს ორგანიზაცია უალრესად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იმ მოღალატურ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს მენშევიკური პარტია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

მაგრამ მალე დადგა გარდატეხის პერიოდი, ახალგაზრდა მარქსისტების ფრიად მნიშვნელოვანმა ნაწილმა, ჯერ კიდევ 1923 წელს, ზურგი შეაქცია უაზრო ბრძოლას და გვერდში ამოუდგა ხელისუფლებას. რამდენიმე ხნის შემდეგ ორგანიზაციის ყოფილმა ცეკამ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის დარჩენილ ნაშთებს საჯაროდ მოუწოდა არალეგალურ მუშაობის შეწყვეტისა და საბჭოთა პლათფორმაზე დადგომისაკენ. ყოველივე ეს მოხდა 1924 წლის აგვისტოს ავანტიურამდე.

როგორც ვიცით, აგვისტოს საშინელებით მიღებულ მწარე გაკვეთილების შემდეგ თბილისის მთავარ სახელოსნოს მუშებისაგან შესდგა მუშათა კომისია, რომელიც თავის ძირითად მიზნათ ისახავს საქართველოში არალეგალური, ხელისუფლების საწინააღმდეგო მუშაობის აღმოფხვრას, ყველა მომქმედ აქტიურ ელემენტების შემოკრებას ხელისუფლების ირგვლივ და ამ ძალების ჩაბმას კულტურულ ეკონომიურ აღმშენებლობაში, მუშათა კომისია მასზე დაკისრებულ მისიას დღევანდლამდე პირნათლად ასრულებს, მაგრამ მის განვლილ მუშაობაში შედარებით ნაკლები ყურადღება ქონდათ მიქცეული ყოფ. ახალგ. მარქსისტებს. ეს უეჭველად ნაკლი იყო მუშათა კომისიის საქმიანობაში.

დღეს, ეს ნაკლიც გამოსწორებულია, ამჟამად ყოფ. ახალგ. მარქსისტთა შორის მუშაობას მიქცეული აქვს დიდი ყურადღება, ხოლო ამ მუშაობის სახელმძღვანელოთ კი შექმნილია სათანადო ორგანო ყოფილ. ახალგ. მარქსისტთა შორის მომუშავე ცენტრალური ბიუროს სახით. ამნაირად ხდება ყოფ. ახ. მარქსისტთა საბოლოო მასიური გადასვლა უაზრო ბრძოლისა და ავანტიურის პოზიციიდან—უდიდესი პროლეტარული რევოლუციის პოზიციაზე, და ჩვენც მოუწოდებთ ყოფილ ახალგაზრდა მარქსისტებს და განსაკუთრებით კი იმ ნაწილს, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ საზღვარგარეთიდან ნაკარნახევ „დიდი ისტორიული საქმის“ კეთებას, ან რომლებიც შეპყრობილი არიან „დაცდის პოლიტიკით“,—თუ მათ უყვართ ქართველი ხალხი და მართლა აინტერესებთ მისი ეროვნული წარმატება, თუ მათ სურთ ნამდვილი სამსახური გაუწიონ მუშათა კლასს, დაადგენ საბჭოთა პლატფორმაზე და შეიტანონ თავისი წვლილი იმ უდიდეს კულტურულ-ეკონომიურ აღმშენებლობაში, რომელსაც ასეთი თავგამოდებით ეწევა კომუნისტური პარტია. ჩვენ უნდა გვწამდეს, რომ არავითარ სხვა ძალას, რომელსაც შეუძლია ხალხის საკეთილდღეოთ რაიმეს გაკეთება—ჩვენს სინამდვილეში ადგილი არ აქვს; უნდა გვწამდეს, რომ არც ერთ სხვა ძალას არ შეუძლია კულტურულ - ეკონომიური აღმშენებლობის ისე ფართოდ გაშლა, როგორც ეს შესძლო საბჭოთა ხელისუფლებამ.

**ა. შალამბერიძე.**

# ს ო ფ ლ ა დ

## (შთაბეჭდილებანი).

დილის 6 საათი იყო, რომ ქ. ზესტაფონიდან გავეშურე სოფ. კვალითისაკენ. ეს სოფელი თვალია შორაპნის მაზრის როგორც მდებარეობით, ისე ბუნების სიუხვითა და სილამაზით. ერთი ამ სოფლის ნაწილი ამაყათ გამოჰყურებს ქ. ზესტაფონის ხეობას, სადაც მიიკლაკნება გიჟი და მუდამ მღვრიე მდ. ყვირილა.

მაისის მზის კუდრაჭა, ცხოველმყოფელი სხივები ლამაზათ ათამაშებდენ ვენახებზე და პატარა სიმინდებზე დარჩენილ დილის ნამს. გამუდმებული წვიმის შემდეგ ეს სიცოცხლის ნექტარი იყო მათთვის...

— შეგვაწუხა ამდენმა წვიმებმა, ვენახები დააზიანა. შიგ ვერ შევსულვარ, ჯერ არ მიექიმია და არც ამიკრავს; გათოხნა მოვასწარ, და ის იყო და ის. იმის შემდეგ სულ წვიმს.

— არა, თუ ამისთანა ამინდებმა ლამდენიმე დღით გასტანა, კიდევ არა უშავს რა, გამობრუნდება ვენახები. მერე, კაცო, რა გამოტანილი აქვს წლეულს, სულ ჯონჯოლივით აყრია, უსათუოდ ჭურის ყიდვა დამჭირდება წელს.—ასე მილაპარაკობდენ გზაზე მაისის მშვენიერი დილით მოხიბლული გლეხები, რომელთაც საერთოდ დიდი მხიარულება ეტყობოდათ.

— ეტყობა, ესეც „ოქონობის" სტუმარია,—შემომხედა ერთმა გლეხმა და ჩაულაპარაკა მეორეს. ეხლა მე უკვე მივხვდი, თუ რა იყო მათი მხიარულების მიზეზი. როცა მათ გავუსწორდი, შევეკითხე:

— რატომ არ მუშაობენ ამისთანა კაი ამინდში ვენახებში, ან რატომ არ მარგლიან? ჯერ კიდევ სახნავიც ბევრსაც გაუთავებელი ჰქონია, რაშია საქმე?!

— დღეს ამ სოფლის დღეობაა—„ოქონობა",—უქმობენ. ჩვენც „ოქონობაზე" მივდივართ საქეიფოთ,—მიპასუხა ერთმა მათგანმა სიცილით.—ალბათ, თქვენც „ოქონობაზე" მიბრძანდებით,—დაუმატა მეორემ.

— ნუ თუ ეს მავნებელი ჩვეულებანი კიდევ არ გადაგვგდიათ ამდენხანს?—შევეკითხე მათ.

— რატომ უნდა გადავაგდოთ, ან რისთვის არის მავნებელი? აგერ ლამაზათ დღეს ვნახავ იმ ჩემ მოკეთე კაცს, მიულოცავ დღესასწაულს, ვიქეიფებ ლაზათიანად დღეს, ხვალ; ორშაბათს ქე გამოვუდგები გზას. მეტი რა დაგვრჩენია ამ ოხერ წუთისოფელზე?—შემომიტია ერთმა.

— თეატრი ჩვენთვის არ არის და ცირკი,—დაუმატა მეორემ,—დღეს ამ სოფელშია „დღეობა", ხუთშაბათს კიდევ ჩვენში „ამაღლებაა", დღევანდელი ჩვენი მასპინძელი ამ დღეს ჩვენ გვეწვევა და ასე, მივდივ-მოვდივართ ერთმანეთთან, ვქეიფობთ და ვერთობით.

— კი, მაგრამ ამოდენა ხარჯი, გაცდენა?—კვლავ შევეკითხე მე.

ეს საჭიროა ჩვენი სიამოვნებისათვის, ხარჯს კი რატომ უნდა დავერიდოთ, ჩვენ მიტომ ვშრომობთ, რომ ვჭამოთ, ვსვათ, გვეიაროთ და გამოვიაროთ.—მომიჭრა ერთმა მათთაგანმა.

მე პასუხის მიცემა ვერ მოვასწარი, რომ ისინი უკვე გამოეშვიდობენ და შეუხვიეს ერთ ეზოში, სადაც უკვე შესდგომოდენ ოქონას „სულის ხსენებას" და საკმათ მაღლა უწევდენ „მრავალჟამიერს".

ნეტავ, ვინ იყო ოქონა, ან რა ღვაწლი მიუძღვის მას კვალითელ გლეხების წინაშე, რომ ასეთი ზეიმით დღესასწაულობენ მისი სახელობის დღეს,—გავიფიქრე ჩემთვის, და მივდიოდი უკმაყოფილოთ, რომ ველარ მოვასწარი ჩემ თანამგზავრთათვის ჯეროვანი პასუხის გაცემა; მე ბოლოს ვიგრძენი, რომ ისინი დარჩენ გამარჯვებული, თუმცა ბევრი გასამართლებელი საბუთი არ მქონდა ჩემი პოზიციის დასაცავათ.

დღეს გლეხობას, რა თქმა უნდა, აღარა სწამთ საღმთო სწორედ არც „ოქონასი" და არც „კვირიკასი", სარწმუნოებრივი კულტის მნიშვნელობა ამ „დაუსრულებელ „დღეობებს" აღარა აქეთ, და სასაცილოც არის ამაზე ლაპარაკი დღეს, როცა გლეხმა იმდენად შეიგნო ეკლესიისა და მღვდლების მოჭორილი „სამღთოების" სიყალბე, რომ ეკლესიას ახლოს აღარ ეკარება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს „დღეობები" მათ მაინც ბოლომდე შეინარჩუნეს. მახსოვს ამ მავნე ტრადიციის წინააღმდეგ რევოლიუციის პირველ ხანებში ბრძოლის მეთოდები: აჯარიმებდენ სტუმრებსაც და მასპინძლებსაც, ჩამოივლიდა ხოლმე სოფლის ათის თავი და სტოლქვეშ ეძებდა სტუმრებს. მაგრამ ასეთმა ზომებმა არამც თუ ვერ მოსპეს ეს „დღეობები", პირიქით, მათი „ავტორიტეტი" უფრო ასწიეს გლეხის თვალში, და მიტომ არის, რომ ეს „დღეობები" დიდის წარმატებით „ტარდება" საქართველოს მრავალ სოფლებში ეხლაც.

მაშ რით იზიდავს ეს „დღეობები" გლეხობის დიდ ყურადღებას? აქ გამოგვადგება საპასუხოთ იმ ჩემი თანამგზავრი გლეხების ნათქვამი: „ვერთობით, ვქეიფობთ, სხვა ჩვენთვის თეატრი არ არის და ცირკი". და მართლაც, ამ მხრივ ჩვენ დიდი დანაშაულობა მიგვიძღვის სოფლის წინაშე: ერთის მხრივ, ვარწმუნებთ გლეხობას ძველი ტრადიციის სიყალბესა და არარაობაში, ვეუბნებით, რომ არ ვარგა გასართობათ დღეობები, მაგრამ, მეორეს მხრივ, არ ვცდილობთ სხვა რამე მაგიერი, უფრო კულტურული გასართობი მივაწოდოთ მას.

მთელი ჩვენი ყურადღება უნდება ქალაქების გართობას. მხოლოდ ქალაქებში ვცდილობთ საკლუბო და სათეატრო საქმის მოგვარებას. სოფელი, გლეხობა, ჩვენი რესპუბლიკის ეს უმთავრესი მამოძრავებელი ღერძი კი რჩება უყურადღებოდ. რა გასაკვირია, რომ ეს თავისთავზე და ძველ ტრადიციებზე მინებებული გლეხობა ისევ ძველებურად ერთობა დრომოჭმული „დღეობებით". მას, რა თქმა უნდა, არა სწამს მათი შინაარსი, მაგრამ ის სარგებლობს მათი გარეგანი ფორმით. ჩვენ ვსპობთ ძველს, ვსპობთ დროგადასულ ზნეჩვეულებებს, მაგრამ მის ალაგას უნდა შევქმნათ ახალი, შეთანხმებული და დაკავშირებული თანამედროვე ყოფაცხოვრებასთან. მარტო აგიტაციებითა და ლექციებით ამ შემთხვევაში ვერას გავხდებით.

ხელოვნების განყოფილებამ თავისი დაკვრითი ამოცანათ უნდა აღიაროს სოფლად სათეატრო საქმის მოგვარება. არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ არც ერთი პატარა სოფელი. უნდა შევეცადოთ თანდათანობით სოფლად ისეთი კულტურული გასართობების მოწყობას, რომელიც გლეხებს მიიზიდავს. მხოლოდ ასეთი საშუალებით თუ შევსძლებთ ამ „დღეობების" წინააღმდეგ ბრძოლას.

მაგრამ შემთხვევით მე თვითონვე განვიცადე ამ ჩემ მიერ ათვალისწუნებულ „ოქონობის" ამბები: ჩემი მასპინძელიც „მეოქონობე" გამოდგა. რომ მივედი, დიდი ფაცა-ფუცი და მზადება იყო; შემწვარი გოჭის, ბატკნისა და მოხარშული დეკეულის ბეჭების სუნი მთელს ეზოში ტრიალებდა. მეტად ნასიამოვნები დარჩა ჩემი მოულოდნელი მისვლით მასპინძელი. სტუმრები ჯერ არ სჩანდა. მაგრამ დარდი-მარდიანი მასპინძელი იმედს მაინც არ ჰკარგავდა და სულ ჭიშკრისაკენ ჰქონდა თვალები. აქ „დღეობებზე" თურმე განსაკუთრებით არავის პატიჟობენ; ნათესავებმა და მეგობრებმა იციან, თუ რომელ „დღეობას" ვისთან, ან რომელ სოფელში უნდა წავიდნენ. ისინი დაპატიჟებას არ ელიან. მასპინძელიც ემზადება იმ იმედით, რომ სტუმრები უსათუოდ ეყოლება, თუმცა მათი რიცხვის წარმოდგენა მისთვის ძალიან ძნელია. მაგრამ ის არც ამაზე სწუხს: ის ვარაუდობს სტუმართა მაქსიმალურ რიცხვს და იმის მიხედვით უხვათ და შეუბრალებლად ავლებს მუსრს გოჭ-ქათამ-ინდაურს. რა თქმა უნდა, დიდ ტრაღედიას განიცდის მასპინძელი, როცა დიდი მზადების შემდეგ, მასთან არ მოდის სტუმრების საკმაო რიცხვი, მაგრამ ჩვენი მასპინძელი „ოქონემ" დაიფარა ასეთი „უბედურებიდან". პირველი საათი არ იქნებოდა, რომ მისი ეზო გა-

ივსო სტუმრებით. მოდიოდენ ცალ-ცალკე, თითო-ოროლა. თვითეულ მათ შემოსვლაზე ატყდებოდა ძაღლების მოთიდებული, ნელი ყეფა, გოჭები და წვრილფეხობა (ისდაურები, ქათმები) გულშეწუხებული გარბოდენ, თითქოს გრძნობდენ, რომ ახალ-ახალი სტუმრების მოსვლა მათაც ისეთ ბედს უმზადებდა, როგორიც ეწიათ რამოდენიმე საათის წინათ მათ თანამოძმეთ „წმ. ოქონას სამსხვერპლოზე“.

სტუმრებთა შორის იყვენ ყოფილი აზნაურები, გლეხები და რამოდენიმე რკინისგზის მუშაც. მე თითქმის ყველასათვის უცხო ვიყავი. სოფლად ახლად ჩამოსულ უცხო „ქასწავლ“ კაცს, როგორც ისინი ეძახიან, დიდი ყურადღებით ათვალიერებენ ხოლმე, თვალით ზომავენ, უნდათ საჩქაროდ გაიგონ, რა პარტიის კაცია. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მეტ სიფრთხილეს იჩენენ ყოფილი აზნაურები: სანამ არ გაიგებენ მოსული კაცის ვინაობას, მანამ ისინი ვერ ბედავენ მუსაიფში მონაწილეობის მიღებას. მაგრამ სტუმართა უმეტესობა შეგნებულ იყო და ჩემი „შიში“ დიდათ არ ემჩნეოდათ.

— ომი იწყებაო, ამბობენ, ინგლისსა და რუსეთს შორის და თქვენ უფრო სისწორე გეცოდინებათ. მართალია, თუ არა ეს ამბავი?—მომმართა ერთმა სტუმართაგანმა.

— როგორ არა. იწყება, უეჭველათ. გაზეთშიც ყოფილა გუშინ.—უპასუხა ჩემს მაგიერ ავტორიტეტულად ერთმა სტუმარმა.

— რუსეთი და ჩინეთი ერთად იქნება თურმე, მაგრამ ინგლისი მაინც სხვა ბიჭია, ვერ მოერევიან.—ჩაერია პოლიტიკურ მუსაიფში სიცილით მესამე. აღძრულ საკითხების გარშემო მე პატარა „მოხსენების“ გაკეთება დამჭირდა „საერთაშორისო მდგომარეობის“ შესახებ. დავამშვიდე და დავარწმუნე ყველა, რომ არავითარი ომი მოსალოდნელი არ არის, რომ საბჭოთა რუსეთი, რომელიც დღეს ეწევა მუშურ-გლეხური სახელმწიფოსა ღმშენებლობის საქმეს, მიისწრაფვის მშვიდობიანობისაკენ.

სხვა რაღაც-რაღაც „პოლიტიკური ახალი ამბები“ სთქვეს ყურმოკრული, მოჭორილი, თუ განგებ შეთხზული, რომლის სინამდვილე არც თვითონ სჯეროდათ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სოფელი დიდ ინტერესს იჩენს საერთაშორისო ვითარების გაგებაში. გლეხობა მეტად დაინტერესებულია ახალ-ახალი ამბებით. ყველა გაფაციცებით ცდილობს ყური მოჰკრას ცხელ-ცხელ ამბებს, მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ამ „ამბების“ გაგების დროს ხშირად აქვს ადგილი ცხელ-ცხელ ჭორებს, რომლითაც აშკარად გლეხები, როგორც ზემონათქვამიდანაც სჩანს, ხარბათ იკვებებიან. ამ გარემოებასაც საჭიროა აუცილებლად მიექცეს ყურადღება. გლეხობას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობაზე. მას სისწორით უნდა ჰქონდეს წარმოდგენა ჩვენი რესპუბლიკის ავკარგიანობაზე; ამისათვის კი საჭიროა დროგამოშვებით გააკეთებდენ ხოლმე სოფლად მოხსენებებს მდაბიურ, გლეხისათვის გასაგებ ენაზე ჩვენი რესპუბლიკის გავლენიანი მუშაკნი. დიდი მოვალეობა აწევს კერძოდ ამ შემთხვევაში აგრეთვე სოფლად მომუშავე ინტელიგენციასაც, ისინი უნდა შეეცადონ გაზეთების საშუალებითით განუმარტონ სოფლელებს ფაქტები, აუხსნან საერათშორისო მდგომარეობა და სხვ. ისე უნდა მოეწყოს სოფლად ინფორმაციის საქმე, რომ იქ არავითარი გასავალი არ უნდა ჰქონდეს ჭორებს და თვით მეჭორეებსაც გასაქანი არ უნდა მივცეთ.

ეს მომავალი საქმეა. ჩვენ ისევ „ოქონობის“ შთაბეჭდილებას დაუბრუნდებით. უკვე ძალზე შეზარხოშებული იყვნენ სტუმრები. თამადა ცდილობდა „მწყურვალი“ არავინ დარჩენილიყო.

— არა, სერგო, მაგ ჭიქებს ცოტა აკლია, თუ ჩემი სიყვარული გაქვს, შეავსე, ეს ისეთი სადღეგრძელოა, რომ ყოვლად შეუძლებელია, რომ არ დასცალო. თუ ძმახარ, ნუ მალაპარაკებ.—ემუდარებოდა ერთს ღვინისაგან ძალზე შექანჯალებული თამადა.

— დაცალე, ძმაო, ეგ ყანწი, თვარამ გული მომივა.

— თუ მოგივა—მოგივიდეს, აღარ შემიძლია, ხომ ხედავ.—ედავებოდა ერთმანეთს ორი ახალგაზრდა, მაგრამ წამოდგა ამ დროს ერთი და „მოკლე“ იმერული „რეჩით“ ჩააჩუმა საჩხუბრათ გამზადებული ახალგაზრდები. „რეჩი“ შეეხებოდა ისევ ღვინის სმას:—„უნდა დავლიოთ, რომელიც რომ, ერთი სიტყვით, აქ შევიკრიბეთ სამხიარულოდ, უეჭველათ“... მაგრამ სმა არავის არ შეეძლო,— ყველა ძალას ატანდა თავს.

„საერთოდ, „დღეობების“ გარდაც, მეტად განთქმულია შორაპნის მაზრა ღვინის ჭარბათ სმით. სვამენ თავდაუზოგველად ყოველთვის: სადილათ, ვახშმათ, სამხრათ, კვირას, ორშაბათს, ერთი სიტყვით, გამუდმებით. ვინ იცის, რამდენი ოჯახი დაღუპულა ლოთობით, რამდენი გამხდარა ღვინის სმის მსხვერპლი? ყველაზე უფრო საჭირო და აუცილებელია სოფლად ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. უნდა შევაგნებინოთ გლეხობას, თუ რა ზიანი მოაქვს მისი ჯანმრთელობისა და ქონებისათვის ღვინის ჭარბათ სმას. ამ შემთხვევაში ბევრია დამოკიდებული მაზრებში მომუშავე ექიმებზე.

ღვინის სმის გარდა, ასეთ „დღეობებზე“ ადგილი აქვს ქეიფს, ცეკვას, სიმღერას. ახალ-ახალი სიმღერები ყოველთვის ზესტაფონის რაიონიდან იწყება ზემო-იმერეთში. ამ სიმღერას თვითონ ხალხი ჰქმნის, როგორც სასიმღერო ჰანგებს, ისე მოსათვალავს (სასიმღერო სიტყვებია უთუოთ ლექსათ) თვითონ ხალხი თხზავს; ეს სიმღერები წინათ შეეხებოდა სიყვარულს, საგმირო საქმეებს, ეხლა კი— პოლიტიკურ ვითარებით არის აღსავსე იმერული სიმღერის ჰანგები. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ ბოლო დროს ზესტაფონულ სიმღერების „პროდუქციას“ ძალზე დაუკლია; იქ ეხლა მეფობს „ამერიკული ძიას“ სასიმღერო ჰანგები. ამ „ძიას“ გარყვნილება სოფლის ლამაზ ჰანგოვან სიმღერებშიაც შეჭრილა, და დიდი გასავალი ჰქონდა „ამერიკელ ძიის“ კუპლეტებს ჩვენს „კომპანიაშიაც“. ამას კარგად აულო ალღო ერთმა „მომღერალმა“ მანდილოსანმა და სულ ქეიფის ბოლომდე გაიძახოდა: „ნუ გგონიათ თქვენ ფოქსტორია (ფოქსტროტი) შედეგი, რას მიქვია, ფეხი ფეხში შედევიო“.

გარემოებამ ჩამაფიქრა: „ამერიკელმა ძიამ“ ამ სეზონში გაამასხარავა თეატრი, გარყვნა ქართული თეატრის ფაქიზი ტრადიცია, დღეს ამას ყველა აღიარებს აქ, თბილისში, „მოდაში“ შემოსულ, პრესაში გამოქვეყნებულ თეატრალთა დაუსრულებელი ანკეტებით, მაგრამ თბილისიდან სოფლად გადატყორცნილ გამრყვნელ მოტივების აღმოფხვრა უფრო ძნელია. თბილისია საქართველოს ტონის მიმცემი, ამისათვის აქ უფრო საჭიროა მეტი დაკვირვება და მიზანშეწონილი საქმიანობა ყველა დარგში.

დაღამებული არ იყო, რომ მოისმა გაუქმებულ ეკლესიიდან ზარის ხმა.

— აბა ვინ წამოვა „თემში“,—წამოიძახა ერთმა ახალგაზრდამ; თემში წამსვლელები ბლომად აღმოჩნდენ. „დღეობა“ „უთემოთ“ „არვარგა“. „თემია“ ამ დღეობათა დასასრული, აქ თავს იყრიან სხვადასხვა მასპინძლებთან დამთვრალი ახალგაზრდობა; აქ ხდება „ნახვა“ სარძლოსასიძოების, ხშირად ნიშნობაც კი. მაგრამ ხდება ხოლმე ჩხუბიც, რომელიც ხშირად თავდება ადამიანის მსხვერპლით. იმართება კოლექტიური ცეკვა-თანმაში. ასეთი იყო „თემის“ მნიშვნელობა წინათ. ზოგიერთი ეს „მნიშვნელობა“ არც ეხლა დაუკარგავს მას. ამას მოწმობს ის ინტერესი, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა „კომპანიამ“ „თემზე“ წასვლის დროს.

დარჩა სტოლთან მხოლოდ ორი-სამი ხანშესული. ერთმა მათგანმა, რომელიც მაინც და მაინც არ იყო მთვრალი, დიდის მოწიებით გამიხმო და მითხრა:

— ვიღაცამ აქანა მითხრა თქვენზე—გაზეთებში წერსო, შენი სულის ჭირიმე, მეცი იმდენი პატივი, ჩამიგდე გაზეთში ეს ამბავი: ჩვენში წისქვილები ჯერ კიდევ კერძო კაცის ხელშია. მივიტანთ დასაფქვავათ სიმინდს და ყოველთვის აკლია ფუთი, ხშირათ მეტიც, ძნელია ზეპი-

რათ იმის დამტკიცება, რომ საფქვავს აკლია, ვინაიდან წისქვილებში არ არსებობს სასწორები, რომ წონით ჩავაბაროთ და დაფქვილიც წონითვე ჩავიბაროთ. თუ აუტეხე ჩხუბი და აყალ-მაყალი, კიდევ უარესი,—მეორეჯერ კიდევ მეტს მოგპარავს, თუ არა და—იპარავენ და იპარავენ ეს სულძაღლი „მემინდეები“; შენ გენაცვალე, ეს ჩამიგდე გაზეთში და ქვეშ მოაწერე „**დამკლისუფალი**“-ო.

მართლაც თურმე დიდი ქურდობაა წისქვილებში ყველგან; ამას ყურადღება უნდა მიაქციოს სოფლის აღმასკომმა, მეწისქვილეებისათვის უსათუოდ სავალდებულო უნდა იყოს სასწორის ქონა, უიმისოთ წისქვილი უნდა დაიკეტოს, და კიდევ უკეთესი იქნება, თუ წისქვილების საქმეს თვითონ მოჰკიდებს ხელს და აწარმოებს სოფლის თემის ხელისუფლება.

სკოლების რიცხვი კვალითის რაიონში და მის ახლო მდებარე სოფლებში არ არის საკმარისი. ხშირად ორი-სამი ვერსის მანძილზე უხდებათ პატარა ბავშვებს სკოლაში სიარული. რაც არის, ისიც მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია: შენობები უვარგისი, ხშირად უკარო და უფანჯროთ, არ არის საჭირო სასწავლო ნივთები და ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, მასწავლებლის მუშაობაც არ იქნება ნაყოფიერი. კვალითის თემში კი სამაგალითოდ უნდა იყოს მოწყობილი სკოლა ყოველმხრივ, ვინაიდან აქაური მცხოვრებლები იმდენათ ღონიერი არიან ნივთიერად, რომ მათ შეიძლება სრულიად უმტკივნეულოდ გადახდეს ყოველწლიურად სკოლისა და სხვა კულტურულ საჭიროებისათვის 30—40 მანეთი წელიწადში. თავისი სოფლის კულტურულად მოწყობისათვის კი ჩვენმა გლეხობამ არ უნდა დაზოგოს ეს უმნიშვნელო თანხა. ყოველთვის რომ მთავრობას უყუროთ და მისგან მოვითხოვოთ მასწავლებლის ჯამაგირიც, სკოლის აშენება-მოწყობაც, არ ივარგებს,—ამდენ ხარჯებს ვერ აიტანს ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტი. გლეხობის ფართო მასამ უნდა მიიღოს აქტიური მონაწილეობა თავის კულტურულ საქმის მოწესრიგებაში.

აქედან გავემგზავრე სხვა სოფლებში. მაგრამ იქაური შთაბეჭდილების შესახებ—შემდეგ.

**განმანი.**

# წერილი პროვინციიდან

## აგარაკი ბახმარო

იმ მომხიბლავ და მრავალფეროვან ბუნებაში, იმ მრავალ ბუნებრივ წალკოტებს შორის, რომლებითაც დაჯილდოვებულია ჩვენი ქვეყანა, ბახმარო ყველაზე მშვენიერი ადგილია. ის უდიდესი იმედია სნეულთათვის და საუკეთესო დასასვენებელი ადგილი ყველა დაღლილ-დაქანცულთათვის. მაგრამ ამ შესანიშნავ ბუნების განძით სარგებლიანობისთვის ადამიანს ჯერაც ვერ გაუკეთებია ისეთი გზა, რომელზედაც შესაძლებელი იყოს ეტლით მსვლელობა. უმთავრესად ეს გარემოება უნდა ჩაითვალოს იმის მიზეზად, რომ აგარაკი ბახმარო დღესაც სახელმწიფოებრივი ხასიათის კურორტად ვერ არის ცნობილი.

ბახმარომდე გურიის სხვადასხვა ადგილებიდან ოთხი გზა მიდის, მათ შორის პირველობა ხევ-ორკეთის მიმართულების გზას უნდა მიეკუთვნოს. ბახმარო ჯერ კიდევ ახალ აღმოჩენილ აგარაკად ითვლება და მისი, როგორც აგარაკის ისტორია, რამოდენიმე წლებით განისაზღვრება.

თვითმპყრობელობის დროს მთავრობა იმით კმაყოფილდებოდა, რომ ხევის თემისა და მის მახლობელ თემების გლეხობას ძალით ამუშავებდა ხსენებულ აგარაკამდე ბილიკის გასაკეთებლად. გლეხობას მათრახებით აიძულებდენ ამ ბილიკის კეთებას, მაგრამ ერთხელაც არ დაუნახავთ საჭიროთ, რომ ამ მუშაობაში რაიმე სისტემა შეეტანათ და თუ მეტ დახმარებას არ გაუწევდენ გლეხებს, ინჟინერი მაინც გაეგზავნათ, რომ ხელმძღვანელობა გაეწია გლეხებისათვის.

საქ. გასაბჭოების შემდეგ, განსაკუთრებით 1925 წლიდან ეს საქმეც დღის წესრიგში დადგა. სწორედ ამ წლიდან სათემო აღმასკომის აქტიური მონაწილეობით იწყება გრანდიოზული მუშაობა, რომელშიც სიმოვნებით იღებს მონაწილეობას თვითეული გლეხი. მთავრობამ ამ საქმეზე გადასდო რამოდენიმე ათასი მანეთი, რამაც უაღრესი სიხარული გამოიწვია გლეხობაში და მეტის ენერგიით შეუდგენ საქმეს. ამას წინეთაც მივიღეთ კიდევ რამოდენიმე ათასი მანეთი ხსენებულ გზისათვის, რითაც ჩვენი გლეხობა დარწმუნდა, რომ მათ ხელისუფლება ობლად არ სტოვებს და ფინანსიურ დახმარებას უწევს ასეთი მნიშვნელოვანი საქმის დაგვირგვინებაში. განსაკუთრებით ეხლა ხსენებულ გზაზე დიდი მუშაობა სწარმოებს. მთავარი სიძნელეები უკვე დაძლეულია და დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ მიმდინარე წლის საგარაკო სეზონის დასაწყისიდან შესაძლებელი იქნება ბახმაროზე ურმით მსვლელობა, რაც დიდ მიღწევათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ სულ მალე მთავრობის დახმარებით გურული გლეხები შესძლებენ საურმე გზის საავტომობილო გზით შეცვლას, და ამ ნაირად ბუნების დიდ განძს ბახმაროს კიდევ უფრო დაუახლოებენ წარსულ სოციალური უკულმართობით დასუსტებულ ხალხს.

ხევიდან აგ. ბახმარომდე დაახლოვებით 25 ვერსია. 15 ვერსის მანძილზე მდ. გუბაზოულის თვალწარმტაც ხეობას მიყვება სულ ვაკე გზა. ამავე მანძილზეა გზის მახლობლად მოსახლეობის განუწყვეტელი ხაზი. 7 ვერსზე ხევიდან აღმოსავლეთით ამავე გზის პირას არის მინერალური წყაროები, მჟავე წყალის სახელწოდებით, რომლის მოწყობილობა ჯერაც პრიმიტიულ მდგომარეობაშია, სადაც ეხლა მთავრობის დახმარებით გლეხები აშენებენ 8 ოთახიან სახლს სათემო შენობათ. მჟავე წყალსაც დიდი მომავალი აქვს.

საბჭოების ხელისუფლების დროს ეღირსა ბახმაროს ტელეფონის ხაზი, რაიც ხევის მიმართულებითაა გაყვანილი.

**შ. ანთაძე.**

---

## კოსტა სანადირაძის განცხადება

ა.-წ. 5 მარტს ქ. სამტრედიის რკ.-გზ. კლუბში მოხდა ყოფილ მენშევიკთა საერთო კრება, სადაც გამოტანილ იქნა დეკლარაცია, რომელიც „ახალ გზაში“ იყო გამოქვეყნებულ „211 მუშის დეკლარაციის“ სახელით.

ვინაიდან მე იმ დროს არ მქონდა საშუალება დავსწრებოდი დასახელებულ კრებას, ამისათვის ჩემს თავს მოვალეთ ვხდი შეუერთდე ჩემი ამხანაგების დეკლარაციას. ყველას გასაგონათ ვაღიარებ, რომ 1921 წლის შემდეგ მე არაფერი დამოკიდებულება არ მქონია ს.-დ. პარტიასთან. საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ მე მზადა ვარ მთელი ჩემის ძალ-ღონით ვემსახურო საბჭოთა ხელისუფლებას, რაც იმავე დროს მე მიმაჩნია ქართველი მშრომელი ხალხის სამსახურად.

კოსტა პავლეს-ძე სანადირაძე.

---

**ყოფ. ახ. მარქსისტთა შორის მომუშავე ც. ბ. სამშაბათს, 31 მაისს, სალ. 5 საათზე, მუშათა სასახლის მეორე დარბაზში იწვევს ყოფ. მარქსისტთა ტფილისის აქტივის გაფართოებულ**

# თათბირს

დღის წესრიგი: 1) პოლიტიკური მოხსენება; 2) ც. ბ. მუშაობის ანგარიში და მიმდინარე საკითხები.

**ცენტრალური ბიურო.**

---

**სარედაქციო კოლეგია.**

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. № 68.